



წიგნი ოჩამჩირის გმირები ავტორი მარინა ნაჭყებია აფხაზეთის ომის 1992-93 მკვლევარი

ნუგზარ ახვლედიანი



დაიბადა 1964 წლის 13 მაისს, ოჩამჩირე, სოფ. ცაგერაში  
1992 წლის 23 სექტემბრიდან ჩარიცხულ იქნა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში. ის  
აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო  
ოპერაციებში.

1993 წლის 5 იანვარს ერთ-ერთ საბრძოლო მოქმედების დროს, გმირულად დაეცა  
ბრძოლის ველზე.

დასფლავებულია ოჩამჩირის რაიონ სოფ. ცაგერაში. 

დაიღუპა ტამიშის ბრძოლებში 1993 წლის 18 იანვარს.



**შალვა (ხვიჩა) ცხვირაგაშვილი**  
დაიბადა 1974 წლის 2 აგვისტოს.

იბრძოდა თეთრი არწივის, მანგლისის ბატალიონის შემადგენლობაში.

დაიღუპა ტამიშის ბრძოლებში 1993 წლის 18 იანვარს.





**გელა მინდიკაური**

დაიბადა 1969 წლის 6 მარტს ქ.თბილისში. მუშაობდა თბილისის მე-8 საავადმყოფოში. 1989 წლიდან იყო ავღანელთა კავშირის წევრი, საზოგადოება "თბილისელის" წევრი მისი შექმნისთანავე, საიდანაც იქნა გაწვეული აფხაზეთის ომში. იბრძოდა ოჩამცირესთან სადაც დაიღუპა 1992 წლის 7 დეკემბერს.

**გარდაცვლების შემდგომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.**



**ოლეგი ასლანის ძე სალავატოვი**

დაიბადა ქ.თბილისში. ცხოვრობდა ლილოს დასახლებაში და დაამთავრა ლილოს 168-ე საშ. სკოლა. მსახურობდა შავნაბადას ბატალიონში, იბრძოდა და დაიღუპა აფხაზეთში, სოფ.ტამიშთან ბრძოლაში 1993 წლის 2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის დროს.

**გარდაცვლების შემდგომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.**



*ზურაბ სულიკოს ძე ნამორაძე*

დაიბადა 1971 წლის 10 თებერვალს. მსახურობდა შავნაზადას ბატალიონში. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. კინდლში 1993 წლის 20 თებერვალს.

*დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით*



*ლევან ანზორის ძე აბესაძე*

დაიბადა 1973 წლის 29 ოქტომბერს თბილისში. მსახურობდა ვაზიანის სატანკო ნაწილში. იბრძოდა აფხაზეთში ოჩამჩირესთან.

დაიღუპა 1992 წლის 29 დეკემბერს





*გიორგი ნოდარის ძე თარხნიშვილი*  
დაიბადა 1973 წლის 30 ივნისს თბილისში.

მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების სამმართველოში  
ზემდეგად.

იბრძოდა აფხაზეთში ქ.ოჩამჩირეში. დაიღუპა 1993 წლის 23 აპრილს.

დაჯილდოებულია "ღირსების ორდენით".



*დავით რომანის ძე კობახიძე*  
დაიბადა 1973 წლის 19 მარტს თბილისში.

იბრძოდა აფხაზეთში. დაიღუპა 1993 3 ივლისს სოფელ ტამიშთან.

*დაჯილდოებულია მხედრული მამაცობის ორდენით*





**ზურა მირაქიშვილი**

ზურა ბორისის ძე მირაქიშვილი დაიბადა 1972 წლის 20 ივნისს მოსამსახურისა და პედაგოგის ოჯახში (დედა, იზოლდა გომიაშვილი, ფიზიკოსი, დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას).

1978 წელს სწავლა დაიწყო ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლაში, მალევე სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის 69-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.

1991 წელს ჩააბარა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

ზურა მირაქიშვილი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, 1988 წელს აქტიურად და უანგაროდ მუშაობდა ახალქალაქში აჭარელი ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოებში;

თავისი მცირეხნიანი სტუდენტობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნარიყალას აღდგენით სამუშაოებში;

1992 წლის ოქტომბერში ზურა მირაქიშვილი მოხალისედ ჩაეწერა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 114-ე ბატალიონ „ავაზა“-ს რიგებში და 1992 წლის 8 დეკემბრიდან აქტიურ და ინტენსიურ მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.

გმირულად დაიღუპა 21 წლის ასაკში, 1993 წლის 2 ივლისს, აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან მტრის დესანტის გადმოსხმისა და შემოტევის დროს განხორციელებულ ბრძოლაში.

2001 წელს თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგულექტივის ინიციატივით, საქართველოს განათლების სამინისტროს, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის

გადაწყვეტილება-ორგანიზებით 69-ე საშუალო სკოლას ოფიციალურად მიენიჭა ზურა მირაქიშვილის სახელი. სამწუხაროდ 2006 წელს, საქართველოს სკოლების სსიპ-ებად ჩამოყალიბების პროცესში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით სხვა სკოლებთან ერთად 69-ე სკოლასაც მოეხსნა სახელი.

**თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, გლდანში, ქუჩას რომელზეც მდებარეობს 69-ე სკოლა და ზურას სახლი (კორპუსი) მიენიჭება ზურა მირაქიშვილის სახელი (გადაწყვეტილება მიღებულია)**



*კახა ახოზაძე*

კახა ახოზაძე დაიბადა 1972 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში. თავისი ჯანმრთელობის გამო სამხედრო გაწვევას არ ექვემდებარებოდა. მაგრამ, მან მტკიცედ გამოაცხადა „მე სამშობლოს ვჭირდები და უნდა წავიდე“. კახას ძმაც წავიდა აფხაზეთში საომრად. ძმებმა იქ მოძებნეს ერთმანეთი და ერთად იცავდნენ სამშობლოს.

კახა ახოზაძე აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში, – ჯერ სახალხო ლაშქარ „ბაგრატიონის“, ხოლო აღნიშნული ლაშქრის საქართველოს თავდაცვის მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-8 ბატალიონთან შეერთების შემდეგ, აღნიშნული ბატალიონის მე-2 (ბაგრატიონის სახელობის) ასეულის შემადგენლობაში. 1993 წლის 15 იანვარს აღნიშნული ასეული, ბრიგადის ხელმძღვანელობის დავალებით იცავდა პოზიციებს ოჩამჩირის რაიონის სოფელი კვიტოულთან. დილიდანვე მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან მოუხდა ბრძოლაში ჩართვა. იგი

მამაცურად უტევდა მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში კახა ახოზაძე გმირულად დაიღუპა მიყენებული ჭრილობებისაგან.

იგი დაკრძალულია საგარეჯოს რაიონის სოფელი წყაროსთავში და დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.



*ომარ ხუჭენია*

ომარ არჩილის ძე ხუჭენია დაბ. 1958 წ. მცხ. ქ. ოჩამჩირეში. ქართველი, ცოლშვილიანი.

ომარ არჩილის ძე ხუჭენია ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 244-ე ბატალიონის პირად შემადგენლობაში, პირველ ასეულში, პირველი ათეულის მეთაურად და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა 244-ე ბატალიონი.

საბრძოლო მოქმედების დროს მტრის სნაიპერის მიერ ნასროლი ტყვიით დაიღუპა.





**რაჯი ხეცურიანი**

რაჯი ედემის ძე ხეცურიანი დაიბადა 1972 წლის 13 მაისს ქ. ოჩამჩირეში, გაიზარდა სოფელ ცაგერაში. რვაწლედის დამთავრების შემდეგ სოხუმში მუსიკალურ ტექნიკუმში ჩაირიცხა. უყვარდა მუსიკა, ესტრადა. ორი წელი სწავლობდა. 1992 წელს დაიწყო ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა. რაჯი ჩაერთო ამ ბრძოლაში. ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის რიგებში. 1993 წლის 3 იანვარს მტრის შემოტევის დროს სოფ. ცხენისწყალთან ბრძოლის ველზე დაიღუპა. დასაფლავებულია სოფ. ცაგერაში. ის მუდამ იცოცხლებს მისი ახლობლებისა და თანამებრძოლთა ხსოვნაში.



**მიხეილ (მიხო) მარჩილაშვილი**

გურჯაანის რაიონი. სოფელი ვაჩნაძიანი. იბრძოდა აფხაზეთში. შავნაბადას ბატალიონში.

1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დღეს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.



*ბადრი ხვედელიძე*

ბადრი ლევანის ძე ხვედელიძე დაიბადა 1954 წლის 25 მაისს ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში. სწავლობდა ქუთაისის საქონელმცოდნეობის ვაჭრობის ტექნიკუმში. პარალელურად მისდევდა სპორტს, კერძოდ ძიუდოს. მიღებული ჰქონდა პრიზები, 1972 წელს ისევ დაბრუნდა ჭიათურაში და მუშაობდა რაიკავშირის მომარაგების საწყობში, სპორტთან კავშირი არ გაუწყვეტია, ჰქონდა თანრიგი და ავარჯიშებდა ბავშვებს.

1980 წლიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში. მუშაობა გააგრძელა ამიერკავკასიის სამშენებლო ტრესტში.

1992 წლიდან იბრძოდა სოხუმის დასაცავად, სოხუმის ბაგრატიონის სახელობის ბატალიონში. 1993 წლის 17 იანვარს კი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულთან იბრძოდა, სადაც ტყვედ ჩავარდა თანამებრძოლებთან ერთად.

1993 წლის 5 თებერვალს გამოიყვანეს შვიდ მებრძოლთან ერთად და დახვრიტეს. დაღუპულები არაადამიანურად იყვნენ ნაწამები და ნატანჯნი.

ბადრი ხვედელიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით «მხედრული მამაცობისათვის».



*პაატა ხუბულური*

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მობილური ძალების სამხედრო ნაწილის N43323-ის ოფიცერი – პაატა სერგოს ძე ხუბულური მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში: სოფ. ტამიშთან, შრომაში, აძიუბჟაში, კინდლში, ათარაში, ლაბრაში, ანუარახუაში, კუტოლში, გაგრაში, სოხუმში, ხოლო 1993 წლის 22 სექტემბერს იგი გმირულად დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. აძიუბჟაში საბრძოლო ოპერაციის დროს.



*თევდორე ხაინდრავა*

ხაინდრავა თევდორე დავითის ძე დაბადებული 1935 წლის 5 მარტს, ეროვნებით ქართველი, მცხოვრები ოჩამჩირის რ-ნი სოფ. ახალდაბაში.

ხაინდრავა თევდორე დავითის ძე მე-II საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-5 მოტომსროლელი ბატალიონის მე-II ასეულში ირიცხებოდა 1992 წლის 5 დეკემბრიდან. ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ოჩამჩირის რაიონში ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში.

1993 წლის 19 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა ალყაში მოაქციეს სოფელი ახალდაბა. მტერთან შეიარაღებული შეტაკების დროს ხაინდრავა თევდორე დავითის ძე დაიღუპა ბრძოლის ველზე

დასაფლავებულია ოჩამჩირის რ-ნი სოფ. ახალდაბაში.



**ნოდარ ჭარაია**

რიგითი ჭარაია ნოდარი აქვსენტის ძე ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში.

ნოდარი აქვსენტის ძე ჭარაია დაიბადა 1934 წლის 4 ივლისს, წალენჯიხის რ-ნის, სოფ. წყოუშში. ნოდარის მამა აქვსენტი გოჩას ძე ჭარაია მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დარჩა ობლად 4 შვილი (მათ შორის უმცროსი მამამისს საერთოდ არ უნახია, რადგან ის მერე დაიბადა).

დაიღუპა 1993 წლის 7 ივლისს. ვერტმფრენში, რომელშიც იმყოფებოდნენ ქართველი მეზრძოლები, მათ შორის ჭარაია ნ. ა. მტერმა სოფ. ტამიშში ააფეთქა.

## არჩილ ჯანაშია

---



რიგითი არჩილ (რინელი) ვალიკოს ძე ჯანაშია დაიბადა 1953 წლის 01 თებერვალს. მცხ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდლი. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რიგითი არჩილ ჯანაშია ირიცხებოდა 23-ე ბრ. მე-5 ბატალიონში

დაიღუპა 1993 წლის 17 სექტემბერს, საომარი მოქმედებების დროს ოჩამჩირის რაიონის სოფ. დაჩასთან.



*არჩილ ცხვირავაშვილი*

რიგითი არჩილ ოთარის ძე ცხვირავაშვილი დაბ. 1958 წ. ქართველი, ცოლშვილიანი, მცხოვრები ოჩამჩირის რ-ნი, სოფ. ცაგერაში.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში იბრძოდა 242-ე ბატალიონის რიგებში (ბრძ. N54-I 1992 წლის 11 დეკემბრიდან, N24). აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში, რომელსაც აწარმოებდა 24-ე ბრიგადა ოჩამჩირის რ-ნში.

1993 წლის 5 მარტს მტრის შემოტევის დროს სოფ. ცაგერაზე, პოზიცია, რომელსაც იცავდა მე-2 ოცეული, მტრის შემოტევას მედგრად დაუხვდა. ყუმბარმტყორცნის ჭურვი რომელიც სანგარში აფეთქდა სასიკვდილო აღმოჩნდა ცხვირავაშვილისათვის.

რიგითი ცხვირავაშვილი არჩილ ოთარის ძე დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში.



*ავთანდილ ცირდავა*

ცირდავა ავთანდილ ერასტოს ძე დაბ. 1937 წლის 16 მაისი, ქართველი, განათლება საშუალო. მცხ. ოჩამჩირის რ-ნი სოფ. ახალდაბაში. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ცირდავა ავთანდილ ერასტოს ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრ. მე-5 ბატალიონში, 1993 წლის 13 იანვრიდან (ბრძ. N36)

1993 წლის 19 სექტემბერს სოფ. ახალდაბაში მტრის შემოტევის დროს, ცირდავა ავთანდილი გმირულად დაიღუპა.

დაკრძალულია სოფ. ახალდაბაში.



*გია ჩლაჩიძე*

გია მიხეილის ძე ჩლაჩიძე, დაბადებული 1974 წელს, ეროვნებით ქართველი, დაამთავრა ქ.თბილისის N18 პროფ.ტექნიკურ სასწავლებელი. სწავლობდა შიდა სანიტარულ-ტექნიკური სისტემების და მოწყობილობათა მემონტაჟის სპეციალობაზე.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულ იქნა 1992 წლის 20 მაისს მთაწმინდის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ.

მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის რეგიონში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში ქვედანაყოფის შემადგენლობაში 1992 წლის 14 აგვისტოდან. ს/ნ 2052-ის პირადი შემადგენლობა საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაყვანილი იქნა ოჩამჩირის რაიონში. ჯგუფმა, რომელშიც იყო რიგითი გ. ჩლაჩიძე, დაიკავა პოზიცია კოჩარა-ქეთევანის მიმართულებით. 1992 წლის 28 ნოემბერს აფხაზური ფორმირებების მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად შ/ჯარების ს/ნ 2052-მა დაიხია უკან და

ნაწილის პირადმა შემადგენლობამ განიცადა დანაკლისი დაღუპულების, დაკარგულების და დაჭრილების სახით.

*დაკარგულთა შორის იყო რიგითი ჩლაჩიძე გია მიხეილის ძე.  
სამშობლოსათვის თავდადებით მებრძოლი გია ჩლაჩიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება*



დავით და ვასო ჩხარტიშვილები

იბრძოდნენ ბატალიონ „ავაზაში“

ერთ-ერთი შეტაკების დროს სოფელ ლაბრასთან დათო მძიმედ დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ, ისევ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. სანამ პირში სული ედგა, ღირსეულად იხდიდა მხედრულ ვალს.

ვასო გაგრის დაცემის დროს დაიჭრა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობდნენ. ისევ ფრონტის ხაზს მიაშურა. 1993 წლის 2 ივლისს დესანტის გადმოსხმის დღეს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

*დაკრძალულნი არიან კუკიის ძმათა სასაფლაოზე.*





*ჯამბულად ჩხაპელია*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ჯამბულად ვლადიმერის ძე ჩხაპელია ირიცხებოდა მე-3 ბრიგადის დაცვის ასეულის პირად შემადგენლობაში (ბრძანება N6 1 ოქტომბერი 1992 წ.).

ატარა აფხაზსკაიაზე მტრის განხორციელებული შემოტევის დროს ბრიგადის ხელმძღვანელობის მიერ დაცვის ასეულის ერთი ჯგუფი გაგზავნილ იქნა დახმარების აღმოსაჩენად, სწორედ ამ ბრძოლების დროს, 1992 წლის 25 ნოემბერს ჯამბულად ჩხაპელია გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.



*მურმან ივანეს ძე კვარაცხელია*

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა 1992 წლის 11 დეკემბრიდან ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 24 -ბრიგადის 242-ე ბატალიონის მე-3ე ასეულის მეტყვიამფრქვევედ.

ის მონაწილეობას ღებულობდა 242-ე ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. სოფელ კოჩარის, ცაგერის, და ლაბრის ტერიტორიაზე. იყო მამაცი მებრძოლი. პატივცემით სარგებლობდა თანამებრძოლთა შორის. დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს სოფ. ტამიშთან მტრის დესდანტის წინააღმდეგ ორმხრივი შეტაკების დროს. გამოსვებულ იქნა 1993 წლის 11 ივლისს ტერიტორიის მტრისგან გაწმენდის შემდეგ.

*დასაფლავებულია ქალაქ ოჩამჩრეში.*



*კაკა შუხოშვილი*

კაკა ალექსის ძე შუხოშვილი, დაიბადა 1971 წლის 21 სექტემბერს თელავში.

განათლება -ტექნიკური, უცოლო. 1977 წელს შევიდა თბილისის 85-ე საშუალო სკოლაში, რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში, კერამიკის ტექნოლოგიის განხრით. იყო 31-ე ქარხანასთან არსებულ კლუბ „შევარდენის“ წევრი, გაიწაფა კლასიკურ ჭიდაობაში. აქტიური მონაწილეობა მიიღო მიწისძვრით დაზარალებული რაჭის აღდგენის სამუშაოებში.

1992 წლის 5 ნოემრებს ისნის რაიონის კომისარიატმა გაიწვია სამხედრო სამსახურში. საბრძოლო წრვთნას გადიოდა შინაგანი ჯარის ნაწილებში. ამავე წლის 7 დეკემბერს მოხალისედ შევიდა მე-11 მექანიზებული ბრიგადის 114-ე ბატალიონ „ავაზა“-ში. იყო ოცმეთაური, ზემდეგის წოდებით.

1993 წლის 25 იანვრიდან დაინიშნა 100 მეთაურად. 1993 წლის 13 თებერვალს სოფელ ლაბრასთან შეტაკების დოს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

*დაკრძალულია ყვარლის რაიონის სოფელ აღმატში.*



*ბესიკ ჩაჩიბაია*

ბესიკ რომანის ძე ჩაჩიბაია, დაბ. 31.01.1965 წ. ქ. სოხუმში, მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულში 1992 წლის სექტემბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა პოზიციურ ბრძოლებში მდ. გუმისთაზე სოფ. აჩადარაში, სოფ. იაშტუხასთან და საერთოდ ასეულის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

ერთ-ერთი ასეთი ბრძოლისას სოფ. ატარა აფხაზსკაიასთან 1992 წლის 3 დეკემბერს გმირულად დაიღუპა. ჩაჩიბაია ბესიკი ბრძოლაში გამოვლენილი თავნგანწირვისა და ვაჟკაცობისათვის დაჯილდოვდა მედლით «მხედრული მამაცობისათვის» სიკვდილის შემდეგ. (მედალი N00025 საქართ. სახელმწიფოს მეთაურის 1993 წ. 28 თებერვლის ბრძანებულება.).



*ირაკლი ჩანტლაძე*

ირაკლი ჯემალის ძე ჩანტლაძე, ჩაირიცხა 23-ე მექანიზირებული ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის პირველი ოცეულის ზერიგითად 1992 წლის 25 სექტემბრიდან, თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე (ბრძ. N433. 03.01.1996 წ. დ. თევზაძე).

1992 წლის 25 დეკემბერს ოჩამჩირეს რ-ნის სოფ. აძიუბუასთან, პოზიციური ბრძოლების დროს ი. ჩანტლაძე სასიკვდილოდ დაიჭრა. პოზიციებიდან გამოიყვანა მე-5 ბატალიონის შტაბის უფროსმა მ. კორძაიამ.

*ირაკლი ჩანტლაძე დაჯილდოვებულია მედლით «მხედრული მამაცობისათვის».*



*ბუბუტი ჩაკვეტაძე*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რიგითი ჩაკვეტაძე ბუბუტი ნიკოლოზის ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში.

ერთ-ერთ შეტაკების დროს 1993 წ. 19 სექტემბერს დაიღუპა ბრძოლის ველზე.

დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში.



**ბადრი შალიკაშვილი**

ლეიტენანტი ბადრი ირაკლის ძე შალიკაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის ოფიცერი, დაბადებული 1962 წლის 3 აპრილს, მცხოვრები ქ. თბილისში, უმაღლესი განათლებით. ლეიტენანტი ბადრი ირაკლის ძე შალიკაშვილი საქართველოს შს სამინისტროს შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის ავტობატალიონის მეთაურის მოადგილედ ტექნიკის დარგში დაინიშნა 1993 წლის 10 მარტიდან. 1993 წლის 24 მაისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იგი მივლინებულ იქნა ოჩამჩირის რაიონში, სოფელ კინდლში. 1993 წლის 2 ივლისს, როდესაც მტრის დესანტმა შემოუტია ლეიტენანტი შალიკაშვილი მეზრდოლთა წინა რიგებში იბრძოდა. 8 საათიანი ბრძოლის დროს იგი ამხნევებდა თავის მეზრდოლებს, არც მას და არც თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირად შემადგენლობას ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან, მტერს მამაცურად ებრძოდნენ, გამომჟღავნეს მხედრული ვაჟკაცობა, ბევრი ბრძოლის ველზე დაეცა მაგრამ ლეიტენანტი ბადრი შალიკაშვილი დაიკარგა უგზოუკვლოდ. ცოცხლად გადარჩენილთა გადმოცემით მან შეასრულა სამშობლოს წინაშე თავისი ვალი, მისი გულადობა, ამაყი შეძახილები ბრძოლაში ამხნევებდა ყოველ ჯარისკაცს. იგი საქართველოს და სამხედრო ნაწილის საამაყო მეზრდოლთა სიებშია ჩარიცხული, როგორც გულადი ოფიცერი, თავისი ერისა და სამშობლოს მოყვარული. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეიტენანტი ბადრი ირაკლის ძე შალიკაშვილი შინაგანი ჯარების ს/ნ 2054 საპატრულო სამსახურის ოფიცერი, ლეიტენანტის სამხედრო წოდებით, 1993 წლის 2 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდლში საბრძოლო მოვალეობის შესრულების დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა.





**ნიკოლოზ შელია**

ზემსახური რიგითი ნიკოლოზ კაის ძე შელია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღიდან. ნ. შელია ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში ათმეთაურის თანამდებობაზე. იგი მონაწილეობას ღებულობდა აღნიშნული ბრიგადის სარდლობის დაგეგმილ საბრძოლო ოპერაციებში სოფ. კოჩარაში, სოფ. ლაბრაში.

ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს 1993 წლის 2 იანვარს ნიკოლოზ შელია იმსხვერპლა მტრის ნასროლმა ტყვიამ სოფ. კოჩარაში. მასთან ერთად დაიღუპნენ მებრძოლები ვენგული პაპავა, ბორის ფანცულაია, გიგლა ბუჩხრიკიძე. შელია ნიკოლოზ კაის ძე დასაფლავებულია სოფ. კოჩარაში.



**გრიგოლ ყარსიმაშვილი**

უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ თენგიზის ძე ყარსიმაშვილი მსახურობდა ეროვნული გვარდიის სატანკო-მექანიზირებულ პოლკში ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე 1992 წლის ნოემბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთის რეგიონში.

დაიღუპა 1993 წლის 26 თებერვალს. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბაში საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს.



*ური ყალიჩავა*

ნური ბიქტორის ძე ყალიჩავა 1992 წლის 28 ნოემბერს სოფელ კოჩარის ალების დროს ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად დაეცა. შეიწირა მტრის მიერ გამოსროლილმა ტყვიამ, რომელიც მოხვდა თავის არეში და სიცოცხლეს ადგილზევე გამოასალმა. მასთან ერთად დაიღუპა გივი ლომაია. დაიჭრა ორი მეზრდოლი. ბრძოლის ველიდან იმ დღესვე იქნა გამოყვანილი.

*დასაფლავებულია სოფელ კოჩარაში.*



*ანდრო ღარიბოვი*

ანდრო ანზორის ძე ღარიბოვი მსახურობდა შინაგანი ჯარის სამხედრო ნაწილ N2052-ში. 1992 წელს მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის ნოემბერში იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე ბრძოლების დროს.



*შალვა ჯავაშვილი*

დაიბადა 1960 წლის 29 აგვისტოს ქ.ბათუმში.

ბათუმის სადროშო "ქართველ შევარდენთა ლეგიონი"-ის მებრძოლი. საბრძოლო მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სხვადასხვა პოზიციებზე. დაიღუპა 1992 წლის 3 დეკემბერს საომარი მოქმედებების დროს ოჩამჩირეში სოფელ ცხენისწყალთან.

*დაჯილდოებულია მედლის მხედრული მამაცობისათვის, სიკვდილის შემდეგ.*



*კახა ხიდეშელი (დრუნჩა)*

დაიბადა 1972 წლის 30 მარტს ქ. თბილისში. დაამთავრა 130-ე საშუალო სკოლა. 1992 წელს, ომის დაწყების დროს რაჭაში იმყოფებოდა, როდესაც ტელევიზიიდან გაიგო მეგობრის დაღუპვის შესახებ. კახამ დაუფიქრებლად მიაკითხა ონის რაიონის გამგეობას, რომ მამისონის უღელტეხილზე წასულიყო საზღვრის დასაცავად. გამგებელმა ასაკის გამო უარი უთხრა. კახა ხიდეშელი 20 წლის იყო. ამის მიუხედავად ის მოხალისედ გაიპარა სახლიდან, წავიდა ახალციხეში, მერე კი – სოფელ აჩიგვარში. 1993 წლის 10 იანვრიდან 30 აპრილამდე მას მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა შემდეგ საბრძოლო ოპერაციებში: სოფ. აგუბედიის ოპერაცია, სოფ. რეკას ოპერაცია, 15 თებერვლიდან 30 თებერვლამდე ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის რეზერვში. 5 მარტიდან დაღუპვის დღემდე კი იბრძოდა ლაბრის საბრძოლო პოზიციაზე. 1993 წლის 28 აპრილს კახას საბედისწერო დღე დაუდგა. საბრძოლო მოქმედებების



დროს დაჭრილი მეგობრის გადარჩენა დააპირა, მაგრამ მეგობრის გამოყვანის დროს სწრაფად ესროლა და ორივე სასიკვდილოდ დაიჭრა. 21 წლის კახა ხიდუმელმა სამშობლოსა და მეგობრის შესწირა ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე. კახა ხიდუმელი არის ჩვენი ქვეყნის გმირი, გმირები კი



*ბორის ფანცულაია*

ფანცულაია ბორისი ბორისის ძე აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყების პირველივე დღეებიდან ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში. ჩაირიცხა ოჩამჩირის გარნიზონის ს/კომენდატურაში, რიგითად.

1992 წლის დეკემბრიდან გადავიდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში – რიგით მსროლელად. მონაწილეობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში სოფ. ცხენისწყალთან, სოფ. ტამიშში, სოფ. ლაბრაში. იყო მამაცი მებრძოლი, გულისხმიერი მეგობარი, დროზე ასრულებდა მეთაურთა დავალებებს. 1993 წლის 2 იანვარს რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ლაბრა-კოჩარის საზღვარზე სადაზვერვო დავალების შესრულების დროს, მტრის ჩასაფრებულ ნაწილს გადაეყარა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მტერი უკუაგდეს, მაგრამ ბ. ფანცულაია სასიკვდილოდ დაიჭრა. ის ადგილზე გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფ. კოჩარაში.



**ზურაბ უბილავა**

უბილავა ზურაბი პანტელეიმონის ძე აფხაზეთის ომის დაწყების პირველ დღეებში მუშაობდა აფხაზეთის შს სამინისტროს ოჩამჩირის რაიგანყოფილებაში, სისხლის სამართლის სამმეზროს ინსპექტორად. 1993 წლის ივნისის თვიდან ოჩამჩირის რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობა გადაიყვანეს 24-ე ბრიგადის დაქვემდებარებაში, საკომენდატო ასეულად.

უბილავა ზურაბი პანტელეიმონის ძე იყო თავდადებული მეზრძოლი, პირნათლად ასრულებდა მეთაურის დავალებებს, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებას.

1993 წლის 17 სექტემბერს 24-ე ბრიგადის საკომენდატო ასეული, იცავდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცაგერას მდ. ცხენისწყალზე მტერთან შეტაკებისას საკომენდატო ასეულის ოცმეთაური უბილავა ზ. პ. დაიჭრა მძიმედ და მიყვანილ იქნა ოჩამჩირის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში.



**სერგო (ემზარი) ათმურზას ძე გუჯეჯიანი**

დაიბადა 1951 წლის 20 დეკემბერს, გულრიფშის რაიონში. 1968 წელს წარჩინებით დაამთავრა აჭარის საშუალო სკოლა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1980 წელს ასევე წარმატებით დაამთავრა ზემოთხსენებული უმაღლესი სასწავლებელი. 1982 წლიდან

სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქ. სოხუმში, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტულ ქარხანაში მთავარ ინჟინრად. 1993 წლის 3 იანვარს გმირულად დაიღუპა ოჩამჩირის რაიონში, სოფელ კვიტოულთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ხელჩართულ ბრძოლაში. დარჩა მეუღლე და ორი შვილი. საბრძოლო მოკლე ისტორია კი ასეთია: ოჩამჩირის რაიონში მიმავალ საბრძოლო ჯგუფის მეთაურობა სერგო გუჯეჯიანს დაევა. საბრძოლო ჯგუფი ძირითადად ბატალიონ „მშვიდობის ლეგიონის“ მებრძოლებისგან შედგებოდა. 1993 წლის 3 იანვარი თენდებოდა, როცა მტერმა დიდი ძალებით შემოუტიათ. პირველად **გუბაზ ჯოხაძე** დაიღუპა, შემდეგი **შუქრი მარგარიანი** იყო. ბიჭების დაღუპვით გამწარებულმა სერგომ სიცოცხლე არ დაიშურა და მტერს მთელი ძალით შეუტია. მსგავსი რამ მხოლოდ კინოფილმებში გვინახავს - ისენებდნენ შემდეგ მისი თანამებრძოლები, ჟერლო ფირცხელიანი, პალიკო ახალაია და სხვები. სერგო ამ ბრძოლის დროს ორი ჭრილობა მიიღო, დაჭრილი იყო ხელში და ფეხში. ბატალიონი მაშველს ელოდა, მაგრამ მაშველი იგვიანებდა. სერგომ გადაწყვიტა იქვე ჩამავალი ღელით მტერს უკნიდან მიპარვოდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამებრძოლებმა ეს გადაწყვეტილება არ მოუწონეს, სერგომ არავის დაუჯერა და მოკლე ხანში მტრის ზურგში აღმოჩნდა. ცეცხლი გაუხსნა და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს მაშველი მოვიდა. მტერმა უკან დაიხია, ბატალიონის დარჩენილი წევრები გადარჩნენ, თუმცა საბედისწერო წუთამაც არ დააყოვნა, „სნაიპერის“ მიერ ნასროლი მესამე ტყვია სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის. 1993 წლის 14 იანვრის „აფხაზეთის ხმა“ იუწყებოდა „მშვიდობის ლეგიონის“ ბიჭების, დაღუპვის ამბავს, სერგო გუჯეჯიანზე კი წერდა: „ბოლო წუთამდე ბიჭებზე ფიქრობდი და ამხნევებდი, შენმა ნასროლმა ტყვიამ არაერთ დაქირავებულ მკვლელს დაუბნელა თვალები, მაგრამ შენც იმ ბრძოლამ შეგიწირა!“ აი ასეთია მოკლე ისტორია კარგი ქართველისა და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანის – სერგო ათმურზას ძე გუჯეჯიანის.



*ტრისტან ძინძიბაძე*

საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამართველოს კონტრაზვერვის განყოფილების უფროსი. დაიბადა 1963 წლის 20 აპრილს საჩხერის რაიონში. თბილისის 124-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1980 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1986 წელს. 1981 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. როდესაც სამშობლოს დასჭირდა ტრისტან ძინძიბაძემ დაუყონებლივ აიღო იარაღი ხელში, ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და დადგა სამშობლოს სადარაჯოზე. 1992 წლის 30 მარტიდან დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის 28-ე ბატალიონის მეთაურის შტაბის უფროსად. ამის შემდეგ 1992 წლის პირველი ივლისიდან დაინიშნა ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე. 1993 წლის პირველ მარტს კაპიტანი ტრისტან ძინძიბაძე დაინიშნა ოპერაიულ განყოფილებაში ოპერ-რწმუნებულის თანამდებობაზე. 1993 წლის მაისში დაინიშნეს კონტრაზვერვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. ტრისტან ძინძიბაძე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონებში. მას ჰქონდა არა ერთი მადლობის წერილი მიღებული, სადაც მადლობას უხდიდნენ, რომ ერის ცხოვრების ამ მეტად საპასუხისმგებლო რთულ ისტორიულ ეტაპზე მან ღირსეულად შეასრულა საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის საპატიო მოვალეობა. მან მთელი ნიჭი და ენერგია მოახმარა საქართველოს დაცვის ერთიანობისათვის ბრძოლას, გამოავლინა პატრიოტიზმი და საქმისადმი ერთგულება, მაღალი პროფესიონალიზმი. არ არსებობს უფრო მაღალი ჯილდო ვიდრე სამშობლოს მადლიერება. ტრისტან ძინძიბაძე 1993 წლის ოქტომბერში მდინარე ცხენიწყლის მისადგომებთან (ოჩამჩირის რაიონი) საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა. ოჯახში დატოვა 2 თვის ფეხმძიმე მეუღლე და შვილის დაბადებასაც ვერ მოესწრო. 1994

წლის 26 დეკემბერს სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.



*სულაქველიძე ემზარი*

1993 წლის 17 სექტემბერს აფხაზეთში შეიქმნა ძალზე დამაბული საბრძოლო მდგომარეობა. სახელმწიფოს მეთაურის ბრძანება N97-ის თანახმად აფხაზეთში გაიგზავნა დამატებითი ჯგუფი, რომლის მეთაურის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში დაინიშნა ემზარ ესტატეს ძე სულაქველიძე. 17 სექტემბერს ჯგუფი გავიდა სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილიდან დ. გომბორიდან. 1993 წლის 22 სექტემბერს აღნიშნულმა ჯგუფმა მიაღწია ქ. ოჩამჩირეს, სადაც პირველი საარმიო კორპუსის ხელმძღვანელობისაგან მიიღო საბრძოლო დავალება და გავიდა ოჩამჩირის დასავლეთ განაპირა უბანში საბრძოლო პოზიციებზე, სადაც იმყოფებოდა 26 სექტემბრამდე. 1993 წლის 25 სექტემბერს, დილის 10 საათზე შეტევაზე გადასვლის ბრძანება მიიღეს. 10 ს. 30 წ. ჯგუფი გორის ბატალიონთან ერთად გავიდა შეტევაზე და განაგრძო წინსვლა. 27 სექტემბერს ჯგუფმა მიაღწია ს. ახალდაბის მისადგომებს, სადაც დახვდათ მოწინააღმდეგის ძლიერი ძალები. ჩვენი მებრძოლები მოექცნენ ალყაში. შეიქმნა საფრთხე ტყვედ ჩავარდნისა. ემზარ სულაქველიძემ გასცა ბრძანება უკან დაეხიათ და გადასულიყვნენ სათადარიგო საბრძოლო პოზიციებზე. როდესაც ჯგუფმა მიაღწია აღნიშნულ პოზიციებს აღმოჩნდა, რომ მეთაური ემზარ სულაქველიძე ბრძოლიდან არ გამოსულა. მებრძოლებმა გიორგი მამიაურის ხელმძღვანელობით გადაწვიტეს მოედებნათ მეთაური, მაგრამ როდესაც მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც უკანასკნელად ნახეს ე. სულაქველიძე, იქ უკვე მოწინააღმდეგის სამხედრო ფორმირებები იმყოფებოდნენ.

აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ ს/ნ 55060-ის მეთაურის მოადგილე აღმზრდელობით დარგში – ემზარ ესტატეს ძე სულაქველიძე 27 სექტემბერს დ. ახალდაბასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.



*ავთანდილ სილაგაძე*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, სილაგაძე ავთანდილი შოთას ძე ჩარიცხული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მე-5 ბატალიონის მე-2 ასეულში რიგითად. (ბრძანება N59 21.01.93.)-ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, კერძოდ: სოფ: ზედა-კინდლის, ტამიშის, ანუარხუს მიდამოებში. 1992 წლის 23 დეკემბერს ს. მაისურაძე, თ. გიორგობიანი, კვირიკაშვილი, ჯ. გიორგობიანი, გ. სილაგაძე, და ა. სილაგაძეს მებრძოლ ბიჭებთან მიჰქონდათ ტყვია-წამალი და სურსათი, ტრაქტორმა გადაიარა ტანკსაწინააღმდეგო მინაზე, რის შედეგადაც აფეთქდა. ადგილზე გარდაიცვალა ა. სილაგაძე, თ. გიორგობიანი და ჯ. კვირიკაშვილი. დანარჩენები მსუბუქად დაიჭრნენ. მეომრების მიერ გამოტანილი იქნა მათი ცხედრები და დაკრძალულები არიან სოფ. ახალ კინდლში. დარჩა მეუღლე და ორი შვილი.



*გიორგი სალუკია*

რიგითი სალუკია გიორგი გიორგის ძე ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონში 1993 წლის 2 მაისიდან IV ასეულის I ოცეულში მსროლელად (საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N305.).რიგითი სალუკია გიორგი გიორგის ძე იყო სამხედრო საქმის მცოდნე, რომელსაც ჰქონდა მიღებული გამოცდილება საბჭოთა არმიაში მსახურობის დროს, სარგებლობდა ავტორიტეტით თავის თანამებრძოლებში. მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში.რიგითი სალუკია გიორგი გიორგის ძე 1993 წლის 20 სექტემბერს იმყოფებოდა საბრძოლო პოზიციაზე სოფ. ზედიის მისადგომებთან სადაც დაიღუპა მტრის ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიით.



*გიორგი საბანაძე*

დაბადებული 1968 წლის 21 მარტს, ქართველი, განათლება – თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში

მსახურობდა 1992 წლიდან. გარდაიცვალა აფხაზეთში სოფ. ქვემო კინდლთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედების დროს. დაკრძალულია ქ. თბილისში.



*ელგუჯა რუხაია*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რუხაია ელგუჯა სულიკოს ძე ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის შტაბის დაცვის და უზრუნველყოფის ასეულში მსროლელად 1993 წლის 15 მაისიდან (ბრძ. N127 31.05.1993 წ.).ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ განხორციელებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში, მეთაურთა დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.1993 წლის 15 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში რუხაია ელგუჯა სულიკოს ძე დაიღუპა საომარი მოქმედებების დროს.ამონარიდი დედის წერილიდან:-შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილის გაქარვება ამიერიდან მხოლოდ მოგონებებით, ერთი ქართველი ჭაბუკის მიერ განვლილი ხანმოკლე ცხოვრების გახსენებით შეგვეძლება... დარდსა და გლოვაში გადის დრო. არ ვიცი, როგორ გადმოვცე უშენობით გამოწვეული ტკივილი, ჩვენთვის ყველაფერი დაცარიელდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ასე არ ყოფილა. რაც დრო გადის, მე და მამაშენს, შენს ძვირფას დაიკოს უფრო და უფრო გვენატრები. დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები და შენი ფოტოები, საიდანაც თბილი, ღიმილიანი, მოსიყვარულე სახით იცქირები...ძნელი და გაუსადლისია წარსულის გახსენება. რა ვუყოთ ამ ოცნებებს, შენ რომ გქონდა და რომელსაც ახდენა არ უწერია?! განა ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ აფხაზეთში ობლად გაჭრილ საფლავს დევნილობაში მოვინატრებდი? შორიდან ვეფერები, ვკოცნი შვილო, შენს გულზე დაყრილ მიწას და იმ მარადისობას, რომლის ბინადრადაც მეგულები!..





*მიხეილ ოძელაშვილი*

მაიორი მიხეილ ოთარის ძე ოძელაშვილი მსახურობდა ეროვნული გვარდიის რიგებში 1992 წლის მარტიდან, ხოლო 1992 წლის სექტემბრიდან ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს სპეც. დანიშნულების ასეულის მეთაურის თანამდებობაზე იყო.იგი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და უნარიანმა მეთაურმა.დაიღუპა საბრძოლო მოქმედებისას აფხაზეთში, 1993 წლის 23 სექტემბერს სოფ. ახალდაბასთან.სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 23 ივნისის N209 ბრძანებულებით მ. ოძელაშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).





*თენგიზი ნემსიწვერიძე*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, რიგითი ნემსიწვერიძე თენგიზი ვალიკოს ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-5-ე ბატალიონში რიგითად (ბრძანება N37. 13.01.93.). 1992 წლის 3 დეკემბერს ერთ-ერთი საბრძოლო მოქმედების დროს მტრის მიერ გასროლილი ტყვიით იქნა მოკლული რიგითი ნემსიწვერიძე თენგიზი ვალიკოს ძე სოფ. ათარა აფხაზეთში. თანამებრძოლების მიერ იქნა გამოტანილი ბრძოლის ველიდან და დაკრძალული სოფელ ახალდაბაში.



*რევაზ მუმლაძე*

რევაზ მუმლაძე დაიბადა 1972 წლის 26 ნოემბერს ქ. ზესტაფონში. 1990 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ზესტაფონის N7 საშუალო სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. როდესაც საქართველოს გაუქირდა IV კურსელი, 20 წლის რევაზ მუმლაძე უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, 1993 წლის თებერვალში მოხალისედ ჩაირიცხა საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-11 ბრიგადის „თეთრი არწივის“ ბატალიონში. იბრძოდა ოჩამჩირის რაიონში, ლაბრა-ტამიშის მისადგომებთან...



*ბორის მარგიანი*

რიგითი მარგიანი ბორისი (კარლო) გვედოს ძე, დაბადებული 1961 წელს, ქართველი, განათლება საშუალო, ცოლშვილიანი.რიგითი მარგიანი ბორისი გვედოს ძე აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღიდან მონაწილეობას ღებულობდა საომარ მოქმედებებში. ირიცხებოდა მე-3 ბრიგადის მე-4 ბატალიონში. ხოლო შემდეგ გადავიდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში 1992 წლის 11 დეკემბრიდან (ბრძ. N88 2.04.93).მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. ს. ლაბრის, ცხენისწყლის, ცაგერის მიმართულებით, იყო მამაცი, უშიშარი მებრძოლი. ყურადღებიანი მეგობარი.ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს 1993 წ. 2 მარტს ს. ლაბრაში მძიმედ დაიჭრა ცეცხლსასროლი იარაღით გულმკერდის არეში. რიგითებმა ხვისტანმა და მარგიანმა მტრის ცეცხლის ქვეშ გამოიტანეს მომკვდავი, მაგრამ ჰოსპიტალში მიყვანამდე გარდაიცვალა.*დაკრძალულია ს. რუხში, ზუგდიდის რაიონში.*



*მერაბ მარგიანი*

მარგიანების ტკბილქართული ოჯახი ცხოვრობდა ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოჩარაში. ცოლ-ქმარ მარგიანებს ერთადერთი ნანატრი ვაჟი ყავდათ. თვალისჩინივით შეჰყურებდნენ, თავს დატრიალებდნენ, შეხაროდნენ. მერაბიც ასეთივე გაზარდეს კეთილი, უშურველი, ალალი. იურისტობაზე ოცნებობდა. მშობლებს ბედნიერ სიბერეს პირდებოდა. აფხაზეთის ომის დაწყების ავბედით დღეს, სახლში შევარდნილა მერაბი – დედი, გესმის რა ხდება? უნდა წავიდე, ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს! საქართველოს ეროვნული გვარდიის III ბრიგადის IV ბატალიონში ჩაირიცხა. 1992 წლის 23 სექტემბრის შემდეგ აღარ უნახავს დედას. 1992 წლის 18 ნოემბერს ერთ-ერთი ოპერაციის დროს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ცხენისწყალთან თავის თანამებრძოლებთან რომან იოსელიანთან, ბაკურ გიგლებიანთან და ვახტანგ იოსელიანთან ერთად ააფეთქეს საბრძოლო მანქანაში. აფხაზეთის დაცემამდე მოხდა ეს ამბავი, ამიტომ მერაბ მარგიანის ცხედრის მშობლიურ სოფლის – კოჩარას სასაფლაოსათვის მიბარება მოასწრეს ახლობლებმა.





*დავით ლომსაძე*

დავით ვახტანგის ძე ლომსაძე, დაბადებული 1975 წლის 3 აგვისტოს, ჩაირიცხა მე-II ბრიგადის ბატალიონ „თეთრი არწივი“-ს „გოჩა ყარყარაშვილის“ სახელობის დაზვერვის ასეულში 1992 წლის ნოემბერში, მზვერავად. იგი მონაწილეა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ყველა ბრძოლისა, კერძოდ: ტამიშთან, ლაბრასთან, ატარა არმიანსკაიასთან, შრომასთან, გუმისთასთან. რიგითი ლომსაძე იყო სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, უშიშარი მებრძოლი, იყო უღალატო, მეგობრის გამტანი, ბატალიონის პირადი შემადგენლობა პატივს სცემდა მრავალი ღირსების გამო. რთული საბრძოლო ოპერაციების შესრულების დროს გამოირჩეოდა მამაცობითა და შესრულების სიზუსტით. 1993 წლის 1 ივნისს, სოფელ ზემო კინდლთან წარმოებული ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს ბატალიონ „თეთრი არწივი“-ს „გოჩა ყარყარაშვილის“ სახელობის დაზვერვის ასეულის რიგითი დავით ლომსაძე გმირულად დაიღუპა.





*ნოდარ მიბჩუანი*

ნოდარ ვალოს ძე მიბჩუანი დაიბადა 1961 წლის 16 დეკემბერს სოფელ კოჩარაში. ვალო და პოპო მიბჩუანებს 8 ქალიშვილიან ოჯახში მე-9 და ერთადერთი ვაჟიშვილი იყო ნოდარი. მთელი სოფელი ულოცავდა ვალოს მემკვიდრის დაბადებას. მშობლებიცა და სკოლაც ჭაბუკს სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ. ნოდარი ფიზიკურად ძლიერი, გულადი, ალაღმართალი ვაჟკაცი იყო. კოჩარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ დედისერთა ვაჟკაცმა თავის გულისწორი მონახა და დაოჯახდა. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ნოდარი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მან განსაკუთრებით განიცადა ბიძის – ჭიჭიკო დადვანის დალუპვა. ნოდარი მონაწილეობას იღებდა საომარ ოპერაციებში – ტამიშში, ცაგერაში, არადუში. 1993 წლის 2 ივლისს ნოდარი გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე სოფელ არადუში. ოთხი დღე ეძებდნენ მის ცხედარს თანამებრძოლები. ბოლოს სოფელ არადუს ტერიტორიაზე ნახეს. საჭირო იყო მისი გადმოსვენება, მაგრამ ომის ქარ-ცეცხლში ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. აქ ნოდარის თანამებრძოლებს დახმარება აღმოუჩინეს იმ დროს ოჩამჩირეში დისლოცირებულმა ლოთი ქობალიას რაზმის წევრებმა. საკუთარი სიცოცხლის ფასად არადუში შევიდნენ და ნოდარის ცხედარი გადმოასვენეს რევაზ და ბათა მიბჩუანებმა, ვალიკო დადვანმა, ვალიკო ბერიანმა, მუხრან მარგიანმა, ვახტანგ მარგიანმა, ჯეირან იოსელიანმა. ნოდარ მიბჩუანის ნეშტი ზუგდიდის მიწას მიაბარეს.



*გოჩა მამასახლისი*

მამასახლისი გოჩა შაქროს ძე დაიბადა 1963 წლის 1 იანვარს ბაღდათის რაიონის დაბა ვანში. 1993 წლის 24 თებერვალს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის განკარგულებით გაგზავნილ იქნა თანამშრომელთა ჯგუფი, მათ შორის გ. მამასახლისი. 1993 წლის 1 მარტს, სოფელ ლაბრაში საომარი მოქმედებების დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებზე მასიური შემოტევებისას, პოლიციის თანამშრომლები დაიქსაქსნენ, რის შემდეგაც გ. მამასახლისი და მისი თანამებრძოლი ვ. დეისაძე უკან აღარ დაბრუნებულან. ისინი უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ჩაითვალნენ. დღეისათვის სასამართლოს წესითაა დადგენილი მათი გარდაცვალება. პოლიციის უფროსი სერჟანტი გოჩა მამასახლისი ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და პროფესიულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის. ოჯახი და მეგობრები დღესაც იმედით გაჰყურებენ შორეთს, რადგან იმედი უკანასკნელი კვდება. ან ვის შეუძლია წაართვას ახლობლებს იმედისა და მოლოდინის უფლება?



*ლეონიდ (ლორიკ) მელაძე*

უფროსი ლეიტენანტი მელაძე ლეონიდე ვლადიმერის ძე, დაბადებული 1945 წელს. ქ. სოხუმის მცხოვრები. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. 1992 წლის 15 სექტემბრიდან ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის 236-ე საარტილერიო დივიზიონის საარტილერიო ბატარეის ოცეულის მეთაურად.ლ. მელაძე დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს 1992 წლის 29 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ნაასთან.დაკრძალულია ქ. სოხუმში, ლეჩქოფის სასაფლაოზე.







*ტარიელ მეტრეველი*

საქართველოს ეროვნული გვარდიის „შაენაბადას“ დაზვერვის სპეც. ბატალიონში ჩაირიცხა 1993 წლის 5 იანვარს რეზერვისტად და მივლინებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ იბრძოდა კინდლის, ლაბრა-ტამიშის მიდამოებში. 1993 წლის 19 თებერვალს სოფელ კინდლში ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა, ცეცხლსასროლი ჭრილობით.



### *გიორგი მიროტაძე*

მიროტაძე გიორგი ლევანის ძე დაიბადა 1970 წლის 16 ნოემბერს ქალაქ თბილისში ცნობილ დასტაქრის, პირველი აფხაზი მეცნიერის, აფხაზეთისა და ქართული უროლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის სოკრატ არშბას ოჯახში.

1976 წელს შევიდა თბილისის I საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. სკოლის პერიოდში გატაცებული იყო კალათბურთით და მხარეთმცოდნეობით.

1987-89 წლებში მუშაობდა თბილისის ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნევროლოგიის ს/კ ინსტიტუტში სანიტრად.

1989 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1991-92 წლის დეკემბერ-იანვარში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მოვლენებში. 1992 წლის სექტემბერში გაიარა ინსტიტუტში სან. ინსტრუქტორის კურსები და ჩაირიცხა სწრაფი რეაგირების კორპუსში „თეთრი არწივი“.

1992 წლის 20 ნოემბერს წავიდა მოხალისედ აფხაზეთში, როგორც „თეთრი არწივის“ სამედიცინო სამსახურის სან. ინსტრუქტორი, მე-4 კურსის სტუდენტი თავისი პროფესიული ვალის მოსახდელად – დაჭრილების საშველად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

1992 წლის 29 დეკემბერს დაილუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარა აფხაზსკაიაში.

დაკრძალულია ქ. თბილისში საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ბაბუის გვერდით.

**1993 წელს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის გადაწყვეტილებით დაარსდა გიორგი მიროტაძის სახელობის სტიპენდია.**

**საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 11 აპრილის ბრძანებულებით გიორგი მიროტაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.**

**ქ. თბილისის მერიის 07.02.1994 N9 გადაწყვეტილებით საბურთალოს რაიონში „ოჯიოს“ ქუჩას ეწოდა გიორგი მიროტაძის სახელი.**

**ყოველწლიურად ტარდება „მზიარულთა და საზრიანთა“ გუნდებს შორის ღია ჩემპიონატი გიორგი მიროტაძის სახელობის თასზე.**

**2005 წლის 14 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დამტკიცა და რეგისტრაციაში გატარდა გიორგი მიროტაძის უკვდავი ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ფონდი „გიორგი და ერთიანი საქართველო“.**

**2010 წლის 15 ოქტომბერს სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა დალუპულ სტუდენტთა მემორიალი.**

P.შ. სტუდენტობის პერიოდში ზაფხულის არდადეგებზე დადიოდა მთაში, განსაკუთრებით მთა-თუშეთი უყვარდა. 1992 წლის 30 ივლისიდან 12 აგვისტომდე მეგობრებთან ერთად წასული იყო მთა-თუშეთში. მოსწონდა ერთი პატარა მთა-ადგილი. მისი დალუპვის შემდეგ პირველივე ზაფხულს მისი მეგობრები ავიდნენ იმ მთაზე და აიტანეს ქვა, რომელზედაც გაუკეთეს წარწერა ვაჟა ფშაველას სიტყვებით ხსოვნის მთაზე არის ობელისკი (ქვა) წარწერით: „სანამდის იყო ცოცხალი ვერავინ შეაშინაო, სიცოცხლე ძვირად გაყიდა, მერე კი დაიძინაო“. თუშეთზე უსაზღვროდ შეყვარებულ ძმას გიორგი მიროტაძეს მეგობრებისაგან.



***ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილი***

ნოდარ (ვეფხო) გურამის ძე მათიაშვილი დაიბადა 1959 წლის 28 ივლისს დაბა წყნეთში. დაამთავრა 137-ე საშ. სკოლა, სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა ჩეხოსლოვაკიაში, იყო მსროლელი. 1989 წლიდან მუშაობდა თბილისის საფეიქრო ნედლეულის დამუშავებისა და გადამამუშავებელ ფაბრიკაში ინჟინრის თანამდებობაზე. 1992 წლიდან შევიდა ბატალიონ „ავაზაში“, ზემდეგის წოდებით, წავიდა აფხაზეთში საქართველოს მიწის დასაცავად. 1993 წლის 1 მარტს სოფ. ლაბრასთან ერთ-ერთ მძიმე საბრძოლო ოპერაციის დროს, ვაჟკაცურად იბრძოდა, თავის თანამებრძოლების გადარჩენის მომენტში ტყვედ აიყვანეს აფხაზმა სეპარატისტებმა და საშინლად აწამეს. მთელ სხეულზე ნაჩვლეტები ჰქონდა, კანი – ამომწვარი, მხრები – ჩამტვრეული, მარჯვენა თვალი ამოთხრილი, ყელი – გამოჭრილი, ავტომატის 80 ტყვია მოხვედრილი. თანამებრძოლების თქმით, აფხაზებს მისი თავი 5 მილიონად ჰქონდათ შეფასებული, რადგან კარგი მსროლელი იყო. ***ნოდარ მათიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.*** დაკრძალულია წყნეთის სასაფლაოზე.



*ზურაბ და გურამ ლიქოკელები*

აფხაზეთის ომმა, 1993 წლის 2 ივლისის, დესანტის გადმოსხმისას მთლიანად შეიწირა დუშეთის ბატალიონი. დუშეთელ რჩეულ ვაჟკაცთა შორის იყო 20 წლის გურამ ლიქოკელი. დუშეთის ბატალიონის წევრი იყო უფროსი ძმა – ზურაბიც, რომელიც გურამის დაღუპვამდე რამოდენიმე თვით ადრე დაიღუპა აფხაზეთში.

ლიქოკელების ოჯახმა ორი რჩეული ვაჟკაცი აჩუქა სამშობლოს: 26 წლის ზურაბი და 20 წლის გურამი. მოუშუშებელია ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების ტკივილი. ან რა სიტყვებმა შეიძლება ანუგეშოს გულდათუთებული დედა?! ერთადერთი შვებაა ალბათ ის, რომ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა მოასწრეს ღირსეული ცხოვრებაც და სამშობლოსათვის გმირული სიკვდილიც. დიდება მათ ხსოვნას!



მალხაზ და დათო

### კიკონიშვილები

მალხაზი იყო 42 წლისა, ცოლშვილიანი, ნინოსა და ირაკლის უზრდიდა ქვეყანას. დათო კი 32 წლისა გახლდათ, ისიც ცოლშვილიანი. გიორგისა და ცოტნეს ზრდიდა. ეს პატარები იამაყებენ, რომ გმირი მამების მონაგარნი არიან. მალხაზი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I საარმიო კორპუსის I ბრიგადის დაზვერვის ცალკეული ასეულის ოცმეთაური იყო. აფხაზეთში წასვლის წინ ოჯახის წევრებს დარიგება დაუტოვა – „რა ვიცი, დავბრუნდები თუ არა, ქორწილში ხომ არ მივდივარ“, დედას სთხოვა, წინასწარ შეგუებოდა ყველაფერს – „ნუ გეშინია, უჩემობას გადაიტან. იმან რა ჰქნას, ვისაც სამი და ოთხი დაეღუპა“. ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ 1993 წლის 2 თებერვალს ოჩამჩირეში ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა. ვერ მოასწრო ძმას შეხვედროდა ფრონტის ხაზზე, რადგან „შავნაბადას“ ოფიცერი, ლეიტენანტი დათო კიკონიშვილი ბატალიონში იბრძოდა. როცა ძმის დაღუპვის ამბავი გაიგო, დაკრძალვის დღეს ჩამოვიდა თბილისში და ძმის ცხედარს შეჰფიცა: რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა. აკი შეასრულა ფიცი. იმ ავადსახსენებელ 1993 წლის 2 ივლისს, უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. ხუთი თვის ინტერვალით ოჯახმა ორი სასიქადულო ვაჟკაცი დაკარგა. მალხაზი და დათო დაკრძალული არიან საბურთალოს ძმთა სასაფლაოზე.



კანკია ელვარდი ღულუნის ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში.

რიგითი კანკია ელვარდი ღულუნის ძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონი. 1993 წლის 6 ივნისს სოფ. ახალ კინდლში ერთ-ერთი შეტაკების დროს მტრის მიერ გასროლილი ტყვიით იქნა მოკლული. ცხედარი გამოასვენეს თანამებრძოლებმა და დაასაფლავეს სოფ. ახალ კინდლში.



ვლადიმერ კალატოზიშვილი

ვლადიმერ კალატოზიშვილი დაიბადა 1951 წლის 2 იანვარს თბილისში, დაამთავრა 64-ე საშუალო სკოლა, შემდეგ – პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა სოფ. ერეთისკარის სკოლაში მასწავლებლად. პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, საკვალიფიკაციო კურსებიც გაიარა. მიენიჭა თადარიგის ლეიტენანტის წოდება. 1975-76 წლებში მუშაობდა ცენტრალურ არქივში უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ იყო გაერთიანება „საქინოს“ უფროსი ინსპექტორი. 16 წელი მონაწილეობდა ქართველ კინემატოგრაფისტთა საქმიანობაში. ხშირად აქვეყნებდა პრესაში სტატიებს ამ სფეროს აქტიურ პრობლემებზე. წერდა ლექსებს. დარჩა მშობლები, მეუღლე და ორი შვილი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ჩაეწერა დივიზია „თბილისში“ ოფიცრად, იბრძოდა აფხაზეთში. 1992 წლის 7 დეკემბერს გმირულად დაეცა სოფ. კოჩარაში.



*რომან ინჯგია*

რიგითი ინჯგია რომანი გივის ძე დაბ. 1965 წ. 17 ივლისი, ეროვნება ქართველი, განათლება საშუალო, ცოლშვილიანი, მცხ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდლი.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რიგითი ინჯგია რომანი გივის ძე ირიცხებოდა 23-ე ბრ. მე-5 ბატალიონში (ბრძანება N95 12 დეკემბერი 1992 წ. ქ. სოხუმი). 1992 წლის 17 ნოემბერს ტამიშთან შეტაკებისას, გმირულად დაუხვდა მტერს და მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა, რის შემდეგაც თანამებრძოლების მიერ იქნა გამოყვანილი პოზიციიდან. ინჯგია რომანი გივის ძე დაკრძალულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდლში.





*ჟორა თუთისანი*

თუთისანი ჟორა პავლეს ძე სამშობლოს პირველსავე დამახილზე დადგა მისი ინტერესების დამცველთა შორის. აფხაზეთელი ვაჟკაცი აფხაზეთის უკეთეს მერმისზე ოცნებობდა. ამიტომაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში მსროლელად – 1992 წლის 11 დეკემბრიდან. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო მოქმედებებში. ყოფით ცხოვრებაშიც და ბრძოლის დროსაც ყოველთვის იყო ენერგიული, უშიშარი, მეწინავე. გმირულად იბრძოდა და გმირულად დაიღუპა – 1993 წლის 29 მაისს სოფელ ცაგერას დაცვის დროს. ჟორა თუთისანისწიანად აღამიანებმა ღირსეული წვლილი მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. ეგებ, საქართველო გამთლიანდეს, მაგრამ ეს ვაჟკაცები არასოდეს დაგვიბრუნდებიან. მსუბუქი იყოს მათთვის მათი სისხლით გაჯერებული ქართული მიწა!



*ვახტანგ ელერდაშვილი*

დაიბადა 1969 წლის 11 აპრილს თბილისში, მსახიობების ოჯახში. ვახტანგ ომარის ძე ელერდაშვილი ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-II საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის საარტილერიო დივიზიონში ასეულის ზემდეგად და მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დასაცავად ბრძოლებში 1992 წლიდან, გაგრძედა და სოხუმში, მან დიდი მამაცობა გამოიჩინა. 1992 წლის 29 სექტემბერს ვ. ელერდაშვილი გმირულად დაიღუპა სოფ. სომხურ ათარას მისადგომებთან, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ და ვახტანგ გორგასლის მე-II ხარისხის ორდენით საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

დედისერთა ვახტანგი ერთ-ერთი პირველი ჩაება საომარ მოქმედებებში. მისი 23 წლის ახალგაზრდა, ლამაზი სიცოცხლე ჩაიფერფლა ტანკში. ვერ გაუძლო უბედურებას მამამ – ომარ ელერდაშვილმა, რომელიც საკუთარი სახლის მე-9-ე სართულიდან გადახტა. ლორენა პაპუაშვილი და ომარ ელერდაშვილი სოხუმელთა უსაყვარლესი მსახიობები იყვნენ. ამ ტრაგედიამ შეძრა სრულიად საქართველო.

ნათელი დაგადგეთ სამშობლოსათვის მარადისობაში გადასახლებულ ელერდაშვილებს!



*გენერალ დარსალია*

დარსალია გენორი დათუმას მე ჩარიცხული იყო 24-ე ბრიგადის 247-ე საარტილერიო დივიზიონში 1993 წლის იანვრიდან. მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლებში აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ, ცაგერა-ტამიშის მიმართულებით. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა მუცლის არეში და მიყენებული ჭრილობისაგან ადგილზე გარდაიცვალა 1993 წლის 23 სექტემბერს.


დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში.



*გრიგოლ დავითულიანი*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების დროს რიგითი დავითულიანი გრიგოლი ალექსანდრეს ძე ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონში 1992 წლის 11 დეკემბრიდან. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი. კერძოდ, ბრძოლებში საქვისა და ტყვარჩელის მიმართულებით. ის გამოირჩეოდა გამბედაობით, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 16 სექტემბერს გამთენიისას მტრის ვერაგული თავდასხმის დროს დაიღუპა სოფელ არადუში. დასაფლავებულია ამავე სოფელში.



**გოგი დარსალია**

გოგი მიტროს ძე დარსალია დაიბადა ოჩამჩირის რ-ნი სოფ. კვიტოულში, მან სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ქ. დუშამბეში მოიხადა სამხედრო მოვალეობა, სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ ჩაირიცხა ქ. ვლადიმერის უმაღლეს სასწავლებელში – მანქანათა შიდა წვის საინჟინრო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თავისი პროფესიით. შემდგომ გადავიდა საბანკო სამუშაოზე. დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში 1992 წ. 8 ოქტომბერს. დარჩა მეუღლე და ვაჟი. დარსალია გოგი მიტროს ძე გაწვეული იყო ოჩამჩირის სამხედრო კომისარიატის მიერ. აფხაზეთში კონფლიქტური სიტუაციის პირველი დღიდან გვერდში ამოუდგა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლებს. იგი ჩაირიცხა 24-ე ბრიგადის 243 ბატალიონში. ბატალიონი იცავდა სეპარატისტებისაგან არადუ-მერკულის ფრონტის ხაზს. მტერმა ბევრჯერ სცადა შეტევაზე გადმოსულიყო და დაეპყრო არადუ-მერკულის ტერიტორია. მაგრამ, იგი შეჩერებულ იქნა დიდი დანაკარგით. აფხაზებმა ვერ შესძლეს განევითარებინათ შეტევა ოჩამჩირის მიმართულებით. ამ ბრძოლაში დარსალია გ. მ. ღებულობდა აქტიურ

მონაწილეობას, იბრძოდა თავგამოდებით, უშიშრად. მან შესძლო გადაეტანა ფრონტის სიძნელეები. მეთაური მას ენდობოდა და აძლევდა განსაკუთრებულ დავალებას მტრის განლაგების და სხვა მონაცემების შესაძენად. მორიგი შემოტევის დროს 1993 წლის 8 ოქტომბერს იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. დამარხულია ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულში.



*მურთაზ დანელია*

დანელია მურთაზი არდაშელის ძე, დაბადებული 1972 წელს, 5 დეკემბერს, ქართველი, მცხოვრები სოფ. კოჩარაში, ოჩამჩირის რაიონში, განათლება – საშუალო, უცოლშვილო. რიგითი დანელია მურთაზი არდაშელის ძე იბრძოდა 1992 წლის ოქტომბრიდან 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში. მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო მოქმედებებში სოფ. კვიტოულის მიმართულებით. 1992 წლის 29 ნოემბერს მონაწილეობას ღებულობდა სოფ. კოჩარასათვის მიმდინარე ბრძოლებში. იყო მამაცი, უშიშარი მებრძოლი. მეთაურის ბრძანებებს ასრულებდა დროულად. ამ ბრძოლების დროს მძიმედ დაჭრილი აყვანილ იქნა მტრის მიერ, თავის ძმასთან ერთად. 1993 წლის 31 მარტს მტრის ტყვეობიდან გაქცევის მცდელობისას ცეცხლსასროლი იარაღით იქნა მოკლული. დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში.



**როლანდ დანელია**

სერჟანტი დანელია როლანდი არდაშელის ძე, დაბადებული 1963 წლის 8 ივნისს, ქართველი, მცხოვრები სოფ. კოჩარაში, ოჩამჩირის რაიონში. სერჟანტი დანელია როლანდი არდაშელის ძე ირიცხებოდა ოჩამჩირის შსს საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილებაში ინსპექტორად. ის მონაწილეობას ღებულობდა საბრძოლო მოქმედებებში სოფ. კოჩარაში 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონის მებრძოლებთან ერთად. 1992 წლის 29 ნოემბრის ბრძოლების დროს მძიმედ დაჭრილი, თავის მმასთან ერთად ტყვედ ჩავარდა. 1993 წლის 31 მარტს ტყვეობიდან გაქცევის მცდელობისას ცეცხლსასროლი იარაღით იქნა მოკლული. დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 27 ივლისის N435-ე განკარგულებით დაჯილდოვებულ იქნა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).



*რუბენ გვაზავა*

გვაზავა რუბენ იპოლიტეს ძე დაბადებული 1952 წლის 22 ივნისს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ახალდაბაში. ირიცხებოდა 23-ე ბრიგადაში, მე-5 ბატალიონში, ახალდაბის ასეულში რიგით მებრძოლად 1992 წლის 5 ნოემბრიდან. 1993 წლის 19 სექტემბერს მტერთან შეტაკების დროს ახალდაბაში, სოფელ აძუბუის საზღვართან საბრძოლო ოპერაციის დროს მტრის ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად მიიღო თავში სასიკვდილო ჭრილობა, რომლის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. მასთან ერთად დაიღუპნენ რიგითი ა. ნაროუშვილი და ბ. დანელია. თანამებრძოლებმა ბრძოლის ველიდან გამოასვენეს.



**თემურ (თიო) გაბუნია**

თემურ (თიო) გაბუნია დაიბადა ქ. თბილისში 1956 წლის 1 იანვარს. საშუალო განათლება მიიღო თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1972 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (1972-77წწ).

თიო გაბუნია მრავალი პროექტის ავტორი და თანაავტორია. მუშაობდა „თბილზნიკ“-ში, საპროექტო ინსტიტუტში „ტურისტპროექტი“, „საქქალაქმშენსახპროექტი“, არქიტექტურულ სტუდიაში „იერი“. ამ პერიოდში შეიქმნა: „ჟურნალისტების სახლი“ ერეკლეს მოედანზე-1980წ;

უნივერსალური სპორტული კომპლექსი „მზიურში“-1981წ;

სასტუმრო 800 ადგილზე ქ. ტაგანროგში-1981წ;

სამხატვრო სახელოსნოების საგამოფენო დარბაზი-1982წ;

სულხან-საბა ორბელიანის მემორიალი საქართველოს სამხედრო გზაზე-1982წ;

მოდების სალონი „ირიდა“ თბილისში-1985წ;

„უპოვარ ბავშვთა სოფელი“ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე-1985წ. თიო

გაბუნია აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩაება საბრძოლო ოპერაციებში, იყო სწრაფი რეაგირების ბატალიონის ასეულის მეთაური. 1992 წლის 26 ნოემბერს ოჩამჩირეში მიმავალს, გზაზე მის შესაპყრობად (როგორც მეთაურის) ჩასაფრებულ მტერს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, თავი საკუთარი ხელყუმბარით აიფეთქა. დაჯილდოვებულია (სიკვდილის შემდეგ) „ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენით“.







**ზაზა ბენდელიანი**

**(ბენდელა)**

ზაზა ბენდელიანი დაიბადა 1969 წლის 25 თებერვალს ზუგდიდში პედაგოგის და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის ოჯახში. თბილისის 61-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ზოოვეტინსტიტუტში. დედის სიყვარული ხომ ჰქონდა, კიდევ გაგრა უყვარდა. ეს გრძნობა ბავშვობისდროინდელია, როცა მამამისი იმ კოპჩია ზღვისპირა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ და მთელი ოჯახით 5 წელიწადს ცხოვრობდა გაგრამი.

მერე ამ ქალაქის ტრაგედია ბენდელიანების ოჯახის ტრაგედიად გადაიქცა, ხოლო მანამდე...

ზაზას ბავშვობის საუკეთესო წლები: მზრუნველი დედ-მამა, საყვარელი უმცროსი დაიკო. გაგრელი თანატოლები, ყველას უვარს ზღვა და ფეხბურთი. მოძღვრავენ გიორგი სიჭინავა და თამაზ კუჭუხიძე. გავიდა წლები. ზაზა როგორც ფეხბურთელი, სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე იზრდება, თანატოლებთან ერთად მრავალ შეჯიბრებაში, ტურნირში იმარჯვებს (ბოლო 2 წელი გუდის კაპიტანია). იზრდებიან ბიჭები, მრავლდება მათი სამმო და როცა ბენდელიანების ოჯახი თბილისში ბრუნდება, ზაზას ძალიან უჭირს გაგრასთან განშორება. თბილისში მიხეილ მესხის „ავაზას“ სპორტულ სკოლაში განაგრძო ფეხბურთის თამაში. კვლავ მრავალ პრესტიჟულ ტურნირებში იმარჯვებს, ტაშკენტში, ლენინგრადში, მოსკოვში, რიგაში.

1983 წელი. ზაზა საქართველოს ნაკრებშია. 1984 წელი, ვინაიდან საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენდა თბილისის დინამო „ავაზას“ ხელმძღვანელობის თანხმობით, ზაზა ბენდელიანი „დინამოს“ ფეხბურთელთა სპორტულ სკოლაში გადაიყვანეს, სადაც ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. შემდეგ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. ითამაშა პოლონეთისა და იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან. ასევე საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან საერთაშორისო ტურნირში საქართველოს

ნაკრების შემადგენლობაში ქ. ტაშკენტში მოგებული აქვს საკავშირო, „სიჭაბუკის თასი“ და იმედის თასი, რისთვისაც მიენიჭა 15 წლის ასაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება. მიღებული აქვს 4 ოქროს მედალი. მე-11 კლასში ყოფნისას ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიაშვილმა („ტორპედო“ მაშინ უმაღლეს ლიგაში თამაშობდა) გუნდში მიიწვია. და როცა ბიჭი გახარებული იყო, როცა ია-ვარდად ესახებოდა გზა სავალი, დედას უკურნებელი სენი აღმოაჩნდა. სამი წლით ონკოლოგიური საავადმყოფოს სარეცელს მიეჯაჭვა. ოჯახი ძალიან დაამწუხრა. ზაზასთვის ის სამი წელიწადი გაუთავებელი მღელვარება იყო. საყვარელი ფეხბურთი სადღა ახსოვდა. კინაღამ ონკოლოგიურ საავადმყოფოში დაიდო ბინა. დედამ ვაჟიშვილის თბილი გულისა, დიხაც, რომ იცოდა, მაგრამ იგი ზაზას სულის ტკივილმა შესძრა. ოჯახის ბურჯი სიცოცხლეს ეთხოვებოდა და არავინ უწყობდა, რომ ეს უბედური ქალი, ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული, თურმე ბედნიერი იყო. მან სიყრმის შვილს გაასწრო 1990 წლის 17 ნოემბერს. ზაზა ვერ შეეჩვია უდედლობას, თავისი საძინებელი ოთახი მიატოვა, დედისეულ საწოლზე წვებოდა ხოლმე. თითქოს დედა ჩემთან არის და მეფერებაო. მოგვიანებით ფეხბურთელი მისი მწვრთნელების და განსაკუთრებით გუჯა გუგუშვილის შეგონებით დაუბრუნდა ფეხბურთის მსოფლიო უნივერსიადაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს ზეცის მოქუფვრას... აბსურტა მუხანათურმა ღალატმა, სისხლისღვრამ სოხუმში და ბოლოს, გაგრის ტრაგედიამ, სადაც ოთხი გაგრელი თანაკლასელის გაგრის ფეხბურთის სტადიონზე დახვრეტამ სულით ხორცამდე შესძრა ზაზა ბენდელიანის არსება, შინაგანმა ძახილმა არ გააჩერა შინ ერთადერთი ოჯახის გვარის გამგრძელებელი და დისა და მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, ომში ჩაება. ერთ-ერთი ბრძოლის დროს სოფელ ტამიშთან მან ამხანაგები გადაარჩინა და თვითონ გმირულად დაიღუპა. აკი გული უგრძნობდა მამას, რომ ომში წასული მისი ვაჟი თავის გადარჩენის გზის ძებნას არ დაიწყებდა. ზაზას სხვაგვარი სიკვდილი არ ეკადრებოდა. იგი გმირად უნდა დარჩენილიყო. ასე ინება განგებამ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით ზაზა ჯუმბერის ძე ბენდელიანი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. სიკვდილის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროიდან შემორჩა სიმღერადქცეული ლექსი „ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი, ჭიჭიკო ბენდელიანი“. ასევე მოსწყდა ზაზა ბენდელიანებს ჯიშს, მოსწყდა მის სათაყვანებელ სამშობლოს. ზაზასნაირი ბიჭები მარტო ოჯახს, დედ-მამას კი არ ეკარგებიან, საქართველოს უკვდებიან და ამგვარი მძიმე დანაკარგები მერე მთელ სამშობლოს სტკივა. თბილისის 61-ე საშუალო სკოლას დოლიძეს ქუჩაზე, რომელიც დაამთავრა, მიენიჭა ზაზა ბენდელიანის სახელი. მისი სახელი მიენიჭა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, სადაც ცხოვრობდა 1970 წლიდან. დასაფლავებულია საბურთალოს გმირთა პანთეონში.



### *გრიგორი ბუჩხრიკიძე*

გრიგორი გიორგის ძე ბუჩხრიკიძე აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. 1992 წლის 23 სექტემბერს, მე-3 გვარდიული ბრიგადის მეთაურის ბრძანებით ჩარიცხულ იქნა ამავე ბრიგადის მე-4 ბატალიონის პ/შემადგენლობის რიგებში ყუმბარმტყორცნელის თანამდებობაზე. მონაწილეობდა სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციაში. კერძოდ: სოფ. ტამიშში, სოფ. ბესლახუბაში, სოფ. ფოქვეშში, სოფ. კოჩარაში და სოფ. ცაგერაში. იყო მოწესრიგებული ჯარისკაცი, მეთაურების ბრძანებებს და მითითებებს ასრულებდა დროულად და ხარისხიანად. თანამებრძოლებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

1993 წლის 2 იანვარს სოფ. კოჩარაში განხორციელებული ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს გ.გ. ბუჩხრიკიძე იმსხვერპლა მოწინააღმდეგის ტყვიამ. დასაფლავებულია მშობლიურ სოფ. კოჩარაში.



### *თემურ*

### *ბერია*

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ბერია თემური იურის ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში, 1992 წლის 12 დეკემბრიდან.

ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად, თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 21 სექტემბერს ოჩამჩირის რ-ნ სოფ. ახალდაბაში ერთ-ერთი საომარი მოქმედების დროს მტერთან შეტაკებისას დაიღუპა, დასაფლავებულია ესტონკაში.



**ალიკა**

**აზადანოვი**

1992 წლის ნოემბერში შინაგანი ჯარის ნაწილი ჩავიდა აფხაზეთის რეგიონში საბრძოლო დავალების შესასრულებლად. 24 ნოემბერს დაიკავეს პოზიციები ოჩამჩირის რაიონის სოფ. ქეთევანაში. 28 ნოემბერს სოფელზე დაიწყო შემოტევა მტრის მიერ. პირველი დარტყმა მიიღო პოზიციის მარცხენა მხარემ. იქ იმყოფებოდნენ სერჟანტები: გრიგალაშვილი, ბერიკაშვილი, ნაგლაძე, აზადანოვი, არევაძე. მათ დასახმარებლად მიმავალი გზა ჩაიკეტა, რადგანაც მტერმა გადმოიწია სოფლის შუაგულისაკენ და პოზიციები ისე გაყო, რომ ერთმანეთის დახმარების საშუალება მოისპო. ჯარისკაცები: სულაბერიძე, ლაცაბიძე, ჩლაჩიძე, ხარაიშვილი გავიდნენ ზემო პოზიციაზე. ცოტა ხანში შემოტევა დაიწყო. მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა. იარაღისა და ტყვია-წამლის უკმარისობის გამო დატოვეს პოზიცია და წამოვიდნენ სოფ. ქეთევანიდან სოფელ კოჩარის მიმართულებით. მათი გამოსვლის დროს უკვე მტერს სოფელი აღებული ქონდა. სოფელ კოჩარის მებრძოლები და სოფელ ქეთევანის მებრძოლები, რომლებმაც გამოსვლა შეძლეს ერთმანეთს შეუერთდნენ. ხოლო მარცხენა პოზიციაზე მყოფი მეომრებისა – მას შემდეგ არაფერია ცნობილი. მათ შორის მეომარ ალიკა აზადანოვის. საფიქრალია, რომ მტერმა ისინი ერთიანად ამოხოცა. ალიკა აზადანოვის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამებრძოლთა და ახლობელთა შორ



### *ვასილ*

### *ამირიძე*

ამირიძე ვასილ გიორგის ძე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის I-ლი ბრიგადის მე-4 ბატალიონის ორხევის სადესანტო ასეულში ასმეთაურის თანამდებობაზე 1992 წლის 26 ნოემბრიდან.

მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონში. დაიღუპა 1993 წლის 15 ივლისს საბრძოლო მოქმედების შესრულებისას აფხაზეთში, სოფელ კინდღში.



### *მიხეილ არევაძე*

შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილ 2052-ის ჯარისკაცი რიგითი არევაძე მიხეილ ომარის ძე, გაწვეული იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1992 წლის 20 მაისს.

მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის რეგიონში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში

ქვედანაყოფის შემადგენლობაში 1992 წლის 14 აგვისტოდან 1992 წლის 17 ნოემბრამდე. სამხედრო ნაწილი 2052-ის პირადი შემადგენლობა, საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაყვანილ იქნა ოჩამჩირის რაიონში. ჯგუფმა, რომელშიც იყო რიგითი არევაძე, დაიკავა პოზიცია კოჩარა-ქეთევანის მიმართულებით. 1992 წლის 28 ნოემბერს აფხაზური ფორმირებების მიერ განხორციელებულ შეტევის შედეგად შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილმა დაიხია უკან და ნაწილის პირადმა შემადგენლობამ განიცადა დანაკლისი დაღუპულების, დაკარგულებისა და დაჭრილების სახით. დაკარგულთა შორის იყო რიგითი არევაძე მიხეილ ომარის ძე.



ზურაბ ალთუნაშვილი

პოლიციის კაპიტანი, ზურაბ ვალერიანის ძე ალთუნაშვილი, დაბადებული 1961 წელს, ქ. თბილისში. 1993 წლის 3 მარტს აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა. ზურაბ ალთუნაშვილმა შსს მილიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ნაძალადევის რაიონის შს განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში, ინსპექტორის თანამდებობაზე. არასრულწლოვანთა შორის ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ წარმატებული მუშაობისათვის იგი დაწინაურებულ იქნა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე. მან მუშაობის პერიოდში შესძლო მრავალი ძნელად აღსაზრდელი და დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე მოზარდი დაეყენებინა სწორ გზაზე, რისთვისაც ხელმძღვანელობისაგან მრავალჯერ იქნა წახალისებული. როდესაც ქვეყანას დასჭირდა, ზურაბ ალთუნაშვილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

1991-1992 წლებში სამაჩაბლოში, კერძოდ, ცხინვალთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს ზ. ალთუნაშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, რისთვისაც იგი საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით იქნა წახალისებული. აფხაზეთში დაწყებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის აგვისტოდან ზ. ალთუნაშვილი მილიციის თანამშრომლებთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, ხოლო 1993 წლის 24

თებერვალს ნაძალადევის რ-ის შსგ მიერ გაგზავნილი იქნა აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რ-ის სოფ. ლაბრაში საბრძოლო ჯგუფის უფროსად. 1993 წლის 3 მარტს სოფელ ლაბრაში აფხაზ სეპერატისტებთან შეტაკებისას ზურაბი გმირულად დაიღუპა. მას მიყენებული ჰქონდა ჭრილობები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან. გარდა ამისა, იყო ნაწამები, რასაც ადასტურებდა ის გარემოება, რომ მოკლულს მოკვეთილი ჰქონდა მარცხენა მკლავი იდაყვის არეში (რომელიც დაღუპვის ადგილზე არ აღმოჩნდა) სახისა და ტანის არე დაზიანებული ჰქონდა ბასრი, მჩხვლეტავი საგნის ზემოქმედების შედეგად. იგი გადმოსვენებულ და დაკრძალულ იქნა საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე. პოლიციის კაპიტანი ზურაბ ალთუნაშვილი პირად შემადგენლობაში და თანამებრძოლთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. ამავე დროს იყო კარგი მეოჯახე, მამა და მეუღლე. აღსანიშნავია, რომ ლაბრაში მოკლულს მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა 4 თვის პატარა ვაჟიშვილის ქუდი, რომელსაც ომში თან ატარებდა ყოველთვის. სამშობლომ არ უნდა დაივიწყოს ზურაბ ალთუნაშვილისდარი პატრიოტები.



ვლადიმერ

აკობია

აკობია ვლადიმერი აკაკის ძე დაიბადა 1948 წლის 26 დეკემბერს ქალაქ ოჩამჩირის რაიონი სოფ. კინდლში, საშუალო განათლებით. აკობია ვალერი აკაკის ძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის 24 ბრიგადის 243 ბატალიონში ჩარიცხულ იქნა 1993 წლის იანვარში.

ვალერიმ ბატალიონში ჩარიცხვის პირველი დღიდანვე გამოიჩინა თავი, მიღებული აქვს მონაწილეობა, სოფელ ოხურეში, მერკულაში, ცაგერაში მან დაიმსახურა მეთაურის მადლობა და წარდგენილიც იყო მედალზე მხედრული მამაცობისათვის. ვალერიმ მეთაურს თხოვა გასულიყო ახალ კინდლში ახალდაბის შემოტევის დროს, ის მისვლისთანავე ჩაება აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ახალდაბასთან. სოხუმის დაცემის შემდეგ 1993 წლის 27 სექტემბერს მოკლული იქნა აფხაზების მიერ დასაფლავებულია ახალ კინდლში.





### **ზურაბ აბულაძე**

ზურაბ აბულაძეს არჩეული გზიდან არასდროს გადაუხვევია – ვკითხულობთ ქ. თბილისის ვარკეთილის III მასივის, აეროდრომის დასახლების მე-7 ქუჩის მცხოვრებლების განცხადებას, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანი თხოვნით მიმართავს ქალაქ თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, რომ აღნიშნულ ქუჩას ეწოდოს საქართველოს ერთიანობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის შეწირული ზურაბ აბულაძის სახელი. ზურაბი ამ ქუჩაზე გაიზარდა უზადო პატრიოტად, რომლის სულის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის დედამისს, ლიუდმილა გორინას. რუსი ეროვნების ქალბატონმა შეძლო ქართველი პატრიოტის აღზრდა. ზურაბს უყვარდა გაზაფხული, სიცოცხლე და მამული... მან მამულს საკუთარი, ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი სიცოცხლე უყოყმანოდ ანაცვალა. ის დაიბადა 1976 წელს. როდესაც აფხაზეთი, საქართველოს ეს ძირძველი მიწა, ცეცხლის ალში გაეხვია, ზურაბმა გადაწყვიტა დამდგარიყო იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდებოდა. ამ მიზნით ის სამგორის სამხედრო კომისარიატში მივიდა და ომში წასვლის ნებართვა ითხოვა, არ წაიყვანეს, რადგანაც ჯერ კიდევ პატარა იყო... მას გული სახლში არ უდგებოდა, მთელი მონდომებით ცდილობდა ომში წასვლას, წლებსაც კი იმატებდა... ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და დადგა იქ, სადაც იდგნენ მისი მამა-პაპანი. ის ჩაირიცხა „თეთრ არწივში“ – მობილური ძალების მე-2 ბატალიონში (ბატალიონის მეთაური მ. თათარაშვილი). „თეთრი არწივი“ თავისი გმირობითა და პატიოსნებით დიდ ნდობას იმსახურებდა აფხაზეთში. „თეთრი არწივი“ ყოველთვის წინა ხაზზე იყო. სადაც ჭირდა, იქ ეძახოდნენ, ბოლომდის პატიოსნად იბრძოლეს, სოხუმში წინა ხაზზე იყვნენ, ვინც გადარჩა მათგან, გაგრაში გადაისროლეს მძიმე ტექნიკის გარეშე. ვინც დაიღუპა გაგრაში, სწორედ „ბრძნული“ ხელშეკრულების წყალობით დაიღუპა. გაგრის დაცემის შემდეგ „ავაზელებთან“ ერთად იბრძოდნენ, იცავდნენ ოჩამჩირეს... დესანტების გადმოსხმის საშინელებაც ბევრჯერ იგემეს.



სრულიად ახალგაზრდა მებრძოლს, ზურაბ აბულაძეს „თეთრ არწივში“ ყველა იცავდა, მაგრამ ომი აბა რისი ომია, თუ ადამიანი არ გააუბედურა. ზურაბიც ვერ ასცდა თავის შავ ბედისწერას – 1993 წლის 21 სექტემბერს ის დაიჭრა სოფელ ტამიშთან სხვა მებრძოლებთან ერთად, ბრძოლის ველიდან ვერ გამოაღწია... მშობლიურ მიწაში დამარხვაც არ ეღირსა... ასე უსაფლაოდ, 17 წლის ახალგაზრდამ თავისი უმანკო სიცოცხლე უყოყმანოდ ანაცვალა უსაყვარლესსა და უწმინდესს – დედა საქართველოს.

ზურაბის უდროოდ წასვლა ამ საწუთროდან მოუშუშებელ ტკივილად დარჩა მის ოჯახში, მის მეგობრებში, მის ახლობლებში. მუდამეჟამს იყოს შენი ხსენება, უსაფლაოდ დარჩენილო ვაჟკაცო! შენი საფლავი აფხაზეთია, შენი სახელი უკვდავებია...



#### *ირაკლი ამირეჯიბი*

(29 აპრილი 1963 – 17 ნოემბერი 1992)

ირაკლი ჭაბუას ძე ამირეჯიბი ერთი იმათგანია, ვინც აფხაზეთში აფხაზებს კი არა, იმ უგუნურებას ებრძოდა, რამაც ეს საზარელი, ძმათამკვლელი ომი გააჩაღა. ამის დასტურია ერთი საოცარი ეპიზოდი მისი საბრძოლო ცხოვრებიდან: ერთხელ, დაზვერვაზე ყოფნისას თავისიანებს რაციით გამოძახებაზე პასუხობდა. ლაპარაკში მოწინააღმდეგის მზვერავიც ჩართულა, ალბათ იმ სასწაულებრივი მიზეზით, რომ ორივეს მედესანტეების საველე მეტსახელი ჰქონდა. ირაკლის შეუთავაზებია, დილის ხუთ საათზე ტამიშის ხიდთან შეეხვდეთო. პირველი თავად მისულა, მოვედიო, ხმამაღლა დაუძახია. ის მეომარიც გამოსულა საფარიდან. ერთმანეთს გადახვევიან და, ვინ იცის, რა ისაუბრეს – ეს შეხვედრა ხომ სიცოცხლისა და მშვიდობის სახელით მოხდა და არა მტრობის და სისხლისღვრის წყურვილით. ირაკლის სულის სიღრმემდე გაცნობიერებული ჰქონდა ვისი მოდგმისა იყო, ქვეცნობიერად გრძნობდა თავისი გმირი წინაპრების გენებს, რომელთა შორის

აფხაზებიც

იყვნენ!

ირაკლი 1992 წლის 1 ოქტომბერს ჩაირიცხა სადესანტო-სადივერსიო ბატალიონში დაზვერვის მეთაურის მოადგილედ. მას გავლილი ჰქონდა სამხედრო სამსახური ლიტვაში – სადესანტო ნაწილებში. სწორედ იქ ისწავლა უმძიმეს განსაცდელთან თვალის გასწორება, სამხედრო საქმის მრისხანე სიბრძნე და ვაჟკაცობის ფასი... სადესანტო-სადივერსიო ბატალიონი საგურამოში ხანმოკლე საწვრთნელი შეკრების შემდეგ სოხუმს გაფრინდა, საიდანაც ოჩამჩირეში გადაიგზავნა. აქ იყო მისი დისლოკაციის ადგილი. ირაკლი თითქმის ყოველდღე გადიოდა მტრის ზურგში, აგროვებდა სადაზვერვო მონაცემებს, იბრძოდა. მონაწილეობდა სოფელ ბესლახუბას გათავისუფლებაში, მონაწილეობდა მერკულას დაცვაში, სოფელ შრომის გათავისუფლებაში, ოხურეის დაცვაში, რევას ალებაში, ლაბრას დაცვაში, ოჩამჩირის დივერსიული ჯგუფის განიარაღება-დაკავებაში. 26 ოქტომბერს მტრის სადივერსიო ჯგუფთან შეტაკებისას დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. ამ ბრძოლისათვის გამოუცხადეს მადლობა და სახელმწიფო ჯილდოზე წარადგინეს. სადესანტო-სადივერსიო ბატალიონის ყოფილი მეთაური – მ. მორჩილაძე წერს: „ირაკლი ლამაზად იბრძოდა, გახსნილად იბრძოდა... თანამებრძოლებზე ზრუნავდა მუდამ. ეს ერთი შეხედვით ელემენტარული ამბავია, ეს ასეც უნდა იყოს ყოველთვის, მაგრამ ირაკლის სულში ყველა ეს თვისება ერთგვარი წესრიგით იყო თავმოყრილი. ირაკლი ისტორიული სარაინდო წიგნებიდან ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოსული ის მამაცი მებრძოლი იყო, რომელმაც მთელი ფრონტის ხაზზე გასაკვირველი სახელი დაიდო სულ მოკლე ხანში. ირაკლი განსაცდელში ჩავარდნილი უცნობი ადამიანების სიცოცხლეს შეეწირა, – ფრანგი ჟურნალისტი უკვე უსაფრთხო ადგილას ჰყავდა გაყვანილი. ის, რაც ირაკლიმ გააკეთა – გმირობაა... მოკვდა ლამაზი და სუფთა სიკვდილით...”

|             |             |           |            |                |
|-------------|-------------|-----------|------------|----------------|
| ეს          | მოხდა       | ტამიშთან, | 17         | ნოემბერს.      |
| ირაკლის     | სიკვდილმა   | შესძრა    | მთელი      | საქართველო.    |
| მის         | სახელში     | შენივთდა  | და         | გაერთიანდა     |
| უამრავი     | თავდადებული | ვაჟკაცის  | გლოვა,     | იმათიც,        |
| ვინც        | ფრონტის     | ხაზიდან   | მისი       | ცხედრის        |
| გამოტანას   | ემსხვერპლა. | შეიქმნა   | ტკივილითა  | და მრისხანებით |
| სავსე       | მრავალი     | ლექსი.    | უმწვავესია | გ. ფერადის     |
| სტრიქონები: | „ღამე       | ბოდმისგან | არ         | მძინავს,       |
| შავი        | ჩამოწვა     |           |            | ნისლი,         |
| რად         | შევარჩინოთ  |           |            | არძინბას       |
| ამირეჯიბის  |             |           |            | სისხლი!...”    |

– არც შერჩა, ცოდვამ მიაკითხა... ჭეშმარიტმა აფხაზებმა კი იქვე, ტამიშში, ირაკლის ცხედართან გამოსამშვიდობებლად მისვლის ნება ითხოვეს და ვაჟკაცური პატივი მიაგეს... ხოლო იქ, სადაც ეს ულამაზესი ვაჟკაცი ერთადერთმა ტყვიამ მიწას მიაკრა, მერე უნახავთ, – თეთრი შროშნები ამოსულა უფლის განგებით.



### *ჯამბულათ ხოფერია*



– დაიბადა 1968 წლის 22 მარტს ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმბალაურში. უცოლშვილო. 24-ე ბრიგადის სადესანტო-საშტურმო ჯგუფის მეთაური. დაიღუპა 1993 წლის 15 აპრილს. აფხაზეთში, ტყვარჩელთან, ლაშკანდერის მწვერვალზე. დაჯილდოებულია გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.



### *დავით რამიშვილი*

– დაიბადა 1964 წლის 6 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ღრმაღელეში (წყალწმინდა). დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

24-ე ბრიგადის მებრძოლი. 1992 წლის ნოემბერში ოჩამჩირის რაიონის სოფ. ქეთევანაში საბრძოლო მოქმედებების დროს ჩავარდა ტყვედ. რამდენიმე დღის შემდეგ დახვრიტეს. დაჯილდოებულია გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.



*დანიელ აგრასიონის ძე ლომთათიძე*

დაიბადა 1945 წლის 7 იანვარს ზემო სერებში, ცხოვრობდა სოფ. ზემო მამათში. ჰყავდა მეუღლე და 4 შვილი.

დაიღუპა ოჩამჩირეში, სოფ ტამიშში 1992 წლის 5 ნოემბერს. იყო თადარიგის ოფიცერი, 21-ე ბრიგადის ასეულის მეთაურის მოადგილე.



*ზაზა ჩხაიძე*

დაიბადა 1972 წლის მარტში. უცოლშვილო. მსახურობდა "ავაზაში", სერჟანტი. დაიღუპა ტამიშთან დესანტის გადმოსხმის დროს 1993 წლის 2 ივლისს. დაჯილდოვებულია მხედრული მამაცობისათვის.



*გია შაქროს ძე ტრაპაიძე*

დაიბადა 1970 წლის 21 ივნისს . უცოლშვილო. მსახურობდა 53-ე ბატალიონში , სერჟანტი. დაიღუპა 1993 წლის 19 ივნისს ოჩამჩირეში. დაჯილდოებულია მხედრული მამაცობისათვის.

Posted on Октябрь 7, 2013 by kamaneli



*ემზარ ონიანი*

ემზარ სკენდერის ძე ონიანი დაიბადა 1963 წლის 22 ივლისს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში. ემზარის დედა ჟოზეფინა ონიანი ხუთ შვილს ზრდიდა და თან შრომის გმირი იყო ეს კეთილშობილი, ალალი ქალბატონი. ემზარიმ წარმატებით დაამთავრა სოფ. ლუჯის საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა რუსთავის მეტალურგიულ ტექნიკუმში. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა გააგრძელა რუსეთში მშენებლობაზე. საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების შემდეგ დაბრუნდა და იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1992 წლის აგვისტოში უყოყმანოდ ჩადგა ქ. გაგრის დამცველთა შორის. ქუთაისელ და სვან ვაჟკაც მოხალისეებთან ერთად წარმატებით გაართვა თავი ურთულეს ოპერაციას, რომელიც მიმდინარეობდა გაგრის თავზე მთის მიმართულებით. ემზარს ცეცხლსასროლი იარაღიდან მხოლოდ სანადირო თოფი ქონდა და ამიტომაც მეგობრებმა შეარქვეს სიყვარულით „სვანი კარაბინა“. მაშინ ძლიერი შეტევა განხორციელდა ალყაში მოხვედრილი ჩვენი მეომრების გამოსახსნელად და მის შეუპოვრობაზე მეგობრები ხშირად ყვებოდნენ. გაგრიდან ჩამოსული რაღაც სევდიანი იყო. განიცადა ამდენი ახალგაზრდის ჩახოცვა. შემდეგ 1992 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მონაწილეობდა ოჩამჩირის ბრძოლებში. 1992 წლის 20 ნოემბერს მათი ჯგუფი გადაიყვანეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქეთევანაში (კოჩარასთან) და რამდენიმე დღეში დაიწყო მასიური შემოტევა სოფელზე. ემზარ ონიანი და მალხაზ ვაჩიშვილი წინა პოზიციაზე გადავიდნენ და მტრის მასირებულ ცეცხლს იგერიებდნენ. მიუხედავად იმისა, სთავაზობდნენ დანებებას უარი თქვეს ტყვეობაზე და ბოლომდე იდგნენ ფეხმოუცვლელად. ორივე ვაჟკაცი შეეწირა ქეთევანის, ამ მათთვის უცნობი სოფლის დაცვისთვის გამართულ ბრძოლას და განუზომლად დიდი ტკივილი დატოვეს თავის ახლობლებში და მეგობრებში. ემზარ ონიანი დაოჯახებას აპირებდა რამდენიმე თვეში, მაგრამ უცაბედად დაწყებულ ომში წასულ თავის მეგობრებს ვერ უღალატა, სამშობლოს და პატრიოტულ სულს ვერ უღალატა, ვერ უღალატა ვაჟკაცობას და თავის სიყვარულს. მთის სიტიქიასავით ვაჟკაცური იყო, საოცრად გულკეთილი და უშიშარი. არ დასცალდა ბედნიერ სამშობლოში ცხოვრება. კაცურად იცხოვრა და კაცურად შეეწირა სამშობლოს დიდ სიყვარულს. თვითონ აფხაზებს გაკვირვებით ემზარის და მალხაზის ასეთი შემართება და ვაჟკაცობა. კაცურად მიაბარეს მიწას და რამდენიმე კვირის დაკრძალულები ჩააბარეს სამეზნელად წასულ ახლობლებს. სვანეთში ჩავაკითხავთ ამ გმირს ომის შემდეგო, უთქვამს მტერს – ეს დასაფასებელი ვაჟკაცი დათვებზე სანადირო თოფით გვებრძოდაო. ემზარ ონიანის სახელის უკვდავყოფისათვის თბილისის ქუჩას ეწოდა მისი სახელი. მის სახელს ატარებს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის საშუალო სკოლა. დაჯილდოებულია სახელმწიფოს საბრძოლო უმაღლესი ჯილდოთი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. მარადიულ ნათელში იყავით სამშობლოსათვის თავგანწირული ვაჟკაცებო.



ვაჩეიშვილი მალხაზი დავითის ძე. დაბადებული 1953 19 სექტემბერს. მთავლელი. ქართველთა სამხედრო-სადაზვერვო ფორმირება "მთიელთა ფარი" -ედელვეისი". მეთაური. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებით. უცოლშვილო. დაიღუპა 1992 წლის 28 ნოემბერს ოჩამჩირეში სოფ. ქეთევანაზე მტრის მასირებული შემოტევის დროს უთანასწორო ბრძოლაში ემზარ ონიანთან ერთად. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს სამშო სასაფლაოზე.



**კამლეტ კონსტანტინე**

ვაჩეიშვილი კამლეტ კონსტანტინეს ძე. დაბადებული 1964 წლის 12 აპრილს თბილისში. მოხალისეთა რაზმი "გლდანის სამშოს" წევრი. ცოლშვილიანი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებით. 1992 5 ნოემბერს ოჩამჩირეში მოქვის ჩაის ფაბრიკასთან შეტევის დროს აფეთქდა ნაღმზე სხვა თანამებრძოლებთან ერთად. დაკრძალულია მუხათგვერდის

სამოქალაქო სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.



### **თეიმურაზ (თემო) სამხარაძე**

თეიმურაზ (თემო) რობერტის ძე სამხარაძე დაიბადა ქ. თბილისში 1972 წლის 13 მაისს. 1978 წელს სასწავლებლად შევიდა თბილისის ახლად გახსნილ 71-ე საშუალო სკოლაში, რომელშიც თანაკლასელებთან ერთად წარმოადგენდა სკოლის დაწყებითი კლასის პირველ ნაკადს. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1989 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები კუიბიშევის (ახლანდელი სამარის) რკინიგზათა მშენებლობის ინსტიტუტის გზათა მშენებლობის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე და დაამთავრა 3 კურსი. ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ ვაჟკაცს კიდევ უფრო განუმტკიცა სამშობლოს სიყვარული ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ბატონმა თედო კოზირიძემ, რომელმაც თავის სადამრიგებლო კლასში შექმნა ეროვნული სულისკვეთების გამომჟღავნების, საქართველოს წარსულის შეფასების, აწმყოს გათავისებისა და ბედნიერი მომავლის იმედის ატმოსფერო. თემურისათვის ბედნიერება მხოლოდ თავისუფალ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ საქართველოში იქნებოდა სრულყოფილი, რაშიც დაგვარწმუნა მისმა ხანმოკლე, მაგრამ ასაკისათვის ძნელად შესაფერმა განვლილმა გზამ. 1989 წლის ნოემბერში მან პირველმა ააფრიალა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა სკოლის შენობაზე და წინ გაუძღვა საკუთარი და მეზობელი სკოლების მოწაფეებს მშობელი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ნაადრევად დაავაჟკაცა როგორც ბევრი მისი თანატოლი, 1989 წლის



ნოემბერში, 1989 წლის თებერვალსა და 9 აპრილს გადატანილმა ქართველი ერისათვის დაუვიწყარმა სულიერმა და მორალურმა განცდებმა. ხვდა პატივი გამხდარიყო საქართველოში პირველი დისიდენტური ორგანიზაციის სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრი. სისხლის ყივილისა და ძლიერი გენის გამოვლენის პირველი ნიშანი აღმოჩნდა მის მიერ ჯერ კიდევ 1987 წელს, 15 წლის ასაკში დაწერილი და მეგობრებში კონსპირაციულად გავრცელებული წერილი სათაურით «როგორ მოვუპოვოთ საქართველოს დამოუკიდებლობა». წერილში ნათლად იგრძნობა სამშობლოსათვის გულანთებული ყმაწვილის საღი აზრი და ძლიერი სულისკვეთება – «მე ვიცი, მრავალი პრობლემა მრჩება გასაანგარიშებელი, ზოგი შეიძლება ჩემთვის უცნობია, ზოგიც ნაცნობი. მე ჯერ ყმაწვილი ვარ და ეს ჩემთვის დასანახავია. რაც დავინახე დავწერე და ცხოვრების მანძილზე კვლავ დავწერ». წერილის დასასრულს ვკითხულობთ – «მე ლექსებს ვერ დავწერ საქართველოზე, რადგანაც პოეტური ნიჭი არ გამაჩნია! მეც ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი და ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო საქართველოს!» ფიზიკურად უზადოს, გონიერსა და ზნეკეთილს არც უღალატია არჩეული გზისათვის. ძლიერი სულით და ნათელი რწმენით შეძლო ჩამოეყალიბებინა ახალგაზრდული საქველმოქმედო კავშირი «ჰერეთი», რომელმაც მიზნად დაისახა დანგრეული ისტორიული ძეგლების აღდგენა საქართველოს სასაზღვრო ზონებში. 1990 წლის ზაფხულში თემურის ხელმძღვანელობით სტუდენტებისაგან შემდგარმა თანამოაზრეთა ჯგუფმა დაიწყო გამწმენდი სამუშაოები ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული VI საუკუნის მსხალგორის წმინდა გიორგის ეკლესიის. 1991 წელს აღნიშნულ ძეგლზე მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პრეზიდენტის მიერ, საპატრიარქოსთან და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, გაიცა თანხმობა სამუშაოების ჩასატარებლად. იმავე წლის ზაფხულში სტუდენტთა უფრო გაზრდილი ჯგუფის თანხლებით გააგრძელა ძეგლის აღდგენისათვის აუცილებელი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები არქეოლოგიის, არქიტექტორის და ბოდბის ეპარქიის წარმომადგენელის მონაწილეობით. აქტიური მონაწილეობა მიიღო ზურაბ ჭავჭავაძის საქველმოქმედო ასოციაციის დაარსებაში და იყო მისი ერთერთი დამფუძნებელი. 1991 წლიდან იყო «მხედრიონის» ქართველ მაშველთა კორპუსის მებრძოლი და ყველა ცხელ წერტილში იარაღით იცავდა სამშობლოს საოცნებო თავისუფლებასა და ერთიანობას. 1992 წლის ზაფხულში დაინიშნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრთაგან შემდგარ მოხალისეთა სამხედრო შენაერთის «ილიას ლაშქრის» მეთაურად. 1992 წლის 30 ოქტომბერს აფხაზეთში – საქართველოს ძირძველ მიწაზე მიმდინარე ბრძოლების დროს. მტრის 8 ტყვიით დაჭრილმა ვაჟკაცმა 31 ოქტომბერს გამთენიისას, 5 წლის წინ ნაფიქრალით – «მეც ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი და ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო საქართველოს», თავისი სიცოცხლე მიიტანა თავისი საოცნებო სამშობლოს სამსხვერპლოზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო «გაუმარჯოს

საქართველოს!»სათანადო პატივი მიაგო ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ სამშობლოს ღირსეულ შვილს, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის განკარგულებით პანაშვიდი და წესის აგება ჩატარდა ქაშუეთის ეკლესიაში. თემურ სამხარაძის ცხედრის გამოსვენება მოხდა ამავე ეკლესიიდან 1992 წლის 7 ნოემბერს.დაკრძალულია თბილისის საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.



როსტიაშვილი რამაზი ავთანდილის ძე. დაბადებული 1969 21 მაისს თბილისში. საქართველოს მოხალისეთა რაზმი "გლდანის სამომოს" წევრი. უცოლშვილო იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. დაიღუპა 1992 7 დეკემბერს ლაბრასთან საბრძოლო ოპერაციის დროს მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიებისას. დაკრძალულია მუხათგვერდის სამოქალაქო სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.



მერაბიშვილი როინი გაიოზის ძე. დაბადებული 1966 20 დეკემბერს თბილისში. სტუდენტი. დედისერთა. უცოლშვილო. საქართველოს მხედრიონის ასურეთის რაზმის წევრი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ბოლოს 1993 27 თებერვალს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულას დაცვის დროს მოწინააღმდეგემ რამდენიმე ქართველი ხელთ იგდო და მათ შორის როინი სამინელი წამებით აწამეს. დათხარეს თვალები. დაუმტვრიეს თავის ქალა და სასაფლაოზე დააკლეს. მას არ შეურაცყვია თავისი სამშობლო და მოწამის გვირგვინი დაიდგა თავზე. გადაცვლილ იქნა აფხაზ ტყვეზე და დაკრძალულია თბილისის ზღვის სამოქალაქო სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.



**ნოდარ ალექსანდრეს-ძე ბეჟიტაშვილი**

დაიბადა 1963 წლის 5 სექტემბერს, ქალაქ გურჯაანში. იგი იყო გურჯაანის სკოლის გამორჩეული მოსწავლე.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სწავლის შემდეგ გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამხედრო სამსახურის შემდეგ მუშაობა დაიწყო, გურჯაანის სალოკომტივო დეპოში.

1993 წელს, მოხალისედ ჩაირიცხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბატალიონში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ნოდარი გმირულად დაეცა სოფელ ლაბრაში, 1993 წლის 2 ივლისს, საზღვაო დესანტის გადმოსხმისას. ორი კვირის განმავლობაში, საომარი მდგომარეობის გამო, ვერ ხერხდებოდა გვამის გადმოსვენება თბილისში. 19 ივლისს, გაჭირვებით გადმოიყვანეს ნოდარის ცხედარი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბატალიონის მეომრებმა, ტარიელ ჩქარეულის ხელმძღვანელობით.

დაკრძალულია ქ. გურჯაანის, სოფელ ხევისუბნის სასაფლაოზე.



www.unirchi.ge **სლავიკი პაპავა**

რიგითი პაპავა სლავიკი შოთას ძე აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში, მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში. მებრძოლი პაპავა სლავიკი შოთას ძე 1993 წლის 4 აპრილიდან ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის 24-ე ბრიგადის 244-ე მოტომსროლელ ბატალიონში ჯავშან-ტექნიკის მექანიკოსად.

1993 წლის 26 სექტემბერს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშის მიმართულებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს პაპავა სლავიკი შოთას ძე აფეთქდა ჯავშან-ტექნიკით ნაღმზე და ადგილზევე გარდაიცვალა. მისმა თანამებრძოლებმა ჭკადუა ბადრი იურის ძემ და ჭკადუა დათო იურის ძემ, სლავიკი პაპავას ცხედარი გადმოასვენეს ბრძოლის ველიდან.

დაასაფლავებულია წალენჯიხის რ-ნის დაბა ჯვარში.



### *უმცროსი სერჟანტი რომან ვლადიმერის ძე ომანიძე*

დაბადებული 1968 წლის 19 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში, ეროვნება ქართველი, განათლება უმაღლესი, უცოლშვილო.

უმცროსი სერჟანტი ომანიძე რომანი ვლადიმერის ძე გამოცხადდა ოჩამჩირის სამხედრო კომისარიატში 1992 წლის 15 ნოემბერს და ჩაირიცხა მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 143-ე ბატალიონის მე-2 ოცეულის მეთაურად, 1992 წლის 11 დეკემბრიდან.

უმცროსი სერჟანტი ომანიძე რ. ვ. გამოირჩეოდა თანამებრძოლებისაგან დისციპლინით, თანამებრძოლებისადმი პატივისცემით, ზემდგომი მეთაურების მიერ გაცემული ბრძანებების შესრულებით. მის ოცეულში დაქვემდებარებული მებრძოლებისადმი იყო მომთხოვნა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელიც ჩაატარა 243-ე ბატალიონის ხელმძღვანელობამ. ჯერ კიდევ ბატალიონის ჩამოყალიბებამდე, ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს, 1992 წლის 15 ნოემბერს, სოფლის მოხალისეებთან ერთად მან და მისმა თანამებრძოლებმა უკუაგდეს მტერი, რა დროსაც უმცროსი სერჟანტი ომანიძე რ. ვ. მტრის მიერ ნასროლი ტყვიით დაიჭრა ფეხის არეში, საიდანაც ევაკუირებულ იქნა ქ. თბილისში. ჭრილობის გართულების მიუხედავად, დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და ჩაირიცხა ზემოთ ხსენებულ ბატალიონში.

1993 წ. 9 მარტს მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, საიდანაც გამოსვენეს თანამებრძოლებმა გურგენ გასვიანმა, ამირან ბენიძემ და რუსლან აკობიძემ.

დაკრძალულია სოფელ არადუში.



### *ველოდი დავითის ძე ჯიჯელავა*

დაიბადა 1950 წლის 9 სექტემბერს აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალ კინდლში.

აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ორმოცდაორი წლის ველოდი ჯიჯელავა უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1992 წლის 19 ოქტომბერს იგი ჩაირიცხა ეროვნული გვარდიის III ბრიგადის პირველი მოტომსროლელთა ბატალიონის პირადი შემადგენლობის რიგებში. ბრძანება N20-ის საფუძველზე იგი დაინიშნა ათმეთაურად.

1993 წლის 16 სექტემბერს, 43 წლის ასაკში ველოდი ჯიჯელავა გმირულად დაიღუპა სოფ. ახალი კინდლის მისადგომებთან, საომარი ოპერაციის შესრულებისას.



### *ხვთისო ჯაბანაშვილი*



ცხოვრობდა თბილისის ძველ უბანში – ფონიჭალაში. დაამთავრა 127-ე სკოლა. შემდეგ მუშაობდა ელექტრომემდულებელ ქარხანაში და ოჯახს თავისი ალალ შრომით არჩენდა.

საქართველოს მთლიანობას საფრთხე დაემუქრა და ვაჟკაცს გული მოუთმენდა?! საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. იბრძოდა შრომაში, ცაგერში, შემდეგ ოჩამჩირეში, სოფელ ლაბრასთან დაზვერვისას, სნაიპერის ტყვიამ განგმირა 1993 წლის თებერვალში.

საქართველოს დაცვას შეეწირა გულანთებული ჭაბუკი ხვთისო ჯაბანაშვილი.



### *გიორგი ნიკოლოზის ძე ჯომიდავა*



რიგითი, იყო მამაცი მებრძოლი, გულისხმიერი მეგობარი, რომელიც დროულად და პირნათლად ასრულებდა მეთაურთა დავალებებს, მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

1993 წლის 2 ივლისს სოფ. ტამიშში მტრის დესანტის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდა. მიუხედავად ჭრილობისა ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. თავისი სიმამაცით თანამებრძოლებს აღაფრთოვანებდა, მაგრამ მტრის ტყვიამ არ დაინდო და გმირულად დაიღუპა.

1993 წლის 10 ივლისს, როცა ოჩამჩირე-სოხუმის ტრასა განთავისუფლდა, მისი გვამი, მამამ – ნიკოლოზ ჯომიდავამ ამოიღო ორმოდან, სადაც სხვა დაღუპულებთან ერთად იყო დამარხული.

დასაფლავებულია ქ. ოჩამჩირეში.



### *გუბაზ ნარიმანის ძე ჯოხაძე*





დაიბადა 1949 წლის 27 დეკემბერს გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში. სპეციალობით – მექანიკოსი. ცხოვრობდა ქ. სოხუმში, ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი. სექტემბრის თვიდან იბრძოდა პირველ ბატალიონში, იყო მოწინავე ხაზზე გუმისთის მიდამოებში. შემდეგ გადიყვანეს ოჩამჩირეში. საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს დაიღუპა 1993 წლის 3 იანვარს სოფ. კვიტოულთან.

\*\*\*



ქობალია შერმადინ

ასეთმა ლომგმირებმა მოიტანეს საქართველო დღემდე....

დაიბადა 1971 წლის 4 იანვარს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბურმეში. 1078 წელს შევიდა გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში საშუალო სკოლაში. ხოლო 1989 წელს დაამთავრა ბაბუშერის საშუალო სკოლა.

საქართველოს ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების პირველი დღიდან იგი მსახურობდა ეროვნული გვარდიის გულრიფშის ბატალიონში, ხოლო 1992 წლის მაისიდან- ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონში.

ომის დაწყების პირველი დღიდან იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში. 23-ე ბრიგადის პირველი მოტომსროლელი ბატალიონის ჩამოყალიბების შემდეგ ამ ბატალიონის აქტიური მებრძოლი გახდა. დაიღუპა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. 29 სექტემბერს, სოფელ ათარა-არმიანკაიასთან შეტაკების დროს, იგი ქვეითთა საბრძოლო მანქანაში, დესანტის შემადგენლობაში იყო. შეტევისას პირველი შეიჭრა მტრის განლაგებაში, მძიმედ დაიჭრა თავის არეში, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

შერმადინ ქობალია სიკვდილის შერმდეგ დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის."